პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 118 (18660) სამშაბათი, 24 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი!

ყოველდღიურად მატულობს შრომის ტემპი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში. მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დაბოლოებანი იოლი არ არის, მაგრამ ისინი უთუოდ უნდა შეესრულოთ, უნდა გადავაჭარბოთ კიდეც. ამ პერიოდმა ბევრად უნდა განსაზღვროს, თუ როგორი მაჩვენებლებით დავამთავრებთ მიმდინარე ხუთწლედს, როგორ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შევქმნით ახალი, გაცილებით რთული მიჯნების დასაძლევად.

ოთხი თვის საწარმოო მაჩვენებლები მოწმობს, რომ შრომითმა კოლექტივებმა ბევრი რამ იღონეს ხუთწლედის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის, მაგრამ ეს ვერ გამოხატავს მთლიანად მათ პოტენციურ შესაძლებლობებს. საჭიროა შეიქმნას უფრო მაღალი მომთხოვნელობის, ორგანიზებულობის, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის ვითარება სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, ყოველ საწარმოო უჯრედში. შეუნელებელი უნდა ვიბრძოლოთ ეკონომიკის ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებლის — შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდება კი, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე თქვა, რომ „ჩვენ დიდი რეზერვები გვაქვს სახალხო მეურნეობაში. ეს დღევანდელ გამოსვლებშიც აღინიშნა. მთელი ეს რეზერვები უნდა ვეძიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების ფართო და სწრაფ საწარმოო დანერგვაში. რა თქმა უნდა, ეს არ არის ახალი საკითხი. იგი არაერთგზის აღგვიძრავს პარტიის ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე. და მაინც, საქმეს საშველი არ ადგება. რატომ? პასუხიც კარგა ხანია ცნობილია: ახალი მეთოდის, ახალი ტექნიკის დასანერგად საჭიროა წარმოების ასე თუ ისე რეორგანიზაცია, ეს კი დაღს ასვამს გეგმის შესრულებას. მით უმეტეს, რომ წარმოების გეგმის ჩაშლისათვის პასუხს გთხოვენ, ახალი ტექნიკის სუსტი დანერგვისათვის კი დიდ-დიდი დაგტუქსონ“.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელმა ისიც აღნიშნა, რომ მეცნიერებისა და წარმოების შეერთებას ხელს უნდა უწყობდეს დაგეგმვის მეთოდები და მატერიალური სტიმულირების სისტემა. ისინი, ვინც უკან არ იხევს ახალი ტექნიკის დანერგვისას, წამგებიან მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდნენ.

ამ სიტყვებიდან პრინციპული დასკვნა უნდა გამოიტანოს ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა და ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას მუშაობა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას მტკიცე, მუდმივი კონტროლი უნდა დაუწესონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. ალბათ, დადგა იმის დრო, რომ სახელმწიფო გეგმების შესრულების შეჯამებისას ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა მივიჩნიოთ. რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, სხვა სამეურნეო ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, ამ დიდ საქმეს სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, როგორც იტყვიან, გული და სული უნდა ჩააქსოვონ, გამოიჩინონ მთელი პასუხისმგებლობა, ისწავლონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა. ამას ახლა პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

სულ რამდენიმე დღე, და მაისიც მიინურება. ივნისში სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა უნდა გააორეკეონ შუშაობა, რათა წარმატებით, ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულდეს მეორე კვარტალისა და ნახევარი წლის გეგმა. ივლისში კი უნდა დაიწყოს ეკონომიკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შესვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ახალი, გადამწყვეტი ეტაპი. ამ თარიღისადმი მიძღვნილი შრომითი მეტოქეობის შეჯამებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ხუთწლედი: წელი მესამე

პირველობას არ თმობენ

თბილისი. პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ღირსეულად იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის. აქ დიდი ყურადღება ეთმობა ტექნიკური სიახლის დანერგვას. ამის წინათ საწარმოში საექსპლოატაციოდ გადაეცა ქალის ლაბადების გამომშვები ნაკადური ხაზი, რომელიც 69.500 მანეთს ზოგავს. წლეულს გათვალისწინებულია ამოოქმედდეს ჯინსის გამომშვები ნაკადური ხაზი.

ფაბრიკაში ზრუნავენ ახალი მოდელის ტანსაცმლის ათვისებისათვის. წლის დამდეგიდან აქ ათვისეს 21 ახალი მოდელი, ხოლო „სიახლის“ ინდექსით საწარმო ათ მოდელს უშვებს.

ფაბრიკის კოლექტივმა კარგი შედეგებით დაამთავრა წლეგადელი წლის ოთხი თვე და ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მიაწოდა მომხმარებელს. შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი სამკერვალო საამქროს ბრიგადა, რომელსაც ნ. კარტოზია და ლ. თუაშვილი ხელმძღვანელობენ. ეს კოლექტივი შიდასაწარმოო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი კვარტალის მონაცემების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა. ბრიგადის კოლექტივმა ოთხი თვის სახელმწიფო დავალება 25 აპრილისათვის შესრულა და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ათი ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა.

კარგ შრომითს შედეგებს აღწევენ მკერავები მერი მუზაშვილი, ქეთინო კაციაშვილი, მარინე პატაშური, მარინე წიკლაური და სხვები. („კომუნისტის“ კორ).

ალაზნის ველის გარაჟი

ყაზალეიური. ვარდის კრეფა დაიწყეს ალაზნის ველის მეურნეობებმა. გადამმუშავებელ საწარმოებს პირველი პროდუქცია გაუგზავნეს თელავის რაიონის შრომელებმა.

წლეულს განზრახული აქვთ აწარმოონ 500 კილოგრამი ძვირფასი ზეთი ქვეყნის პარფიუმერიის, ფარმაცევტული და კვების მრეწველობისათვის.

ვარდის მოვლა-მოყვანას დიდი შრომა სჭირდება. ერთი წვეთი ზეთის მისაღებად ორი ათასი ყვავილის ფურცელი უნდა მოიკრიფოს. კრეფა იწყება და მიმდინარეობს მზის ამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, რიცა იშლება ყვავილის ჯამი. უფრო მოგვიანებით მოკრეფილ ფურცლებშიც გაცილებით ნაკლები სურნელოვანი ნივთიერებანია.

ახლა ვარდის პლანტაციები არის თელავის, ყვარლის, ლაგოდეხისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში, აგრეთვე რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში.

წლის დავალება შესრულებულია

თეძვზარის წლიური გეგმის შესრულება უპატაკა სამშობლოს ბათუმის კოლმეურნეობა „წითელი მებადურის“ სეინერ „სჩს-189“-ის კაპიტანმა ვ. კარაპეტიანმა. 1623 ტონა — ასეთია ეკიპაჟის შრომის ნაყოფი.

წარმატების მიღწევა ადვილი არ იყო. კოლმეურნეობის მებადურები რეწვას ეწეოდნენ შავი ზღვის მთელ აუზში, ყოველგვარ ამინდში, ზამთარი და გაზაფხულის დამდეგი კი შავ ზღვაზე წვიმიანი იყო.

ამ დღეებში უხვი ნადავლით ბრუნდებიან სეინერები, რომლებსაც მეთაურობენ კაპიტნები ს. ქირია, თ. სვანიძე, დ. კიტაზბა. ისინიც მალე შეასრულებენ წლის დავალებას.

— თვეზს აქტიურად ვეძებთ,— თქვა დ. კიტაზბამ, — ამაში გვეხმარება არა მარტო გამოცდილება, ტექნიკა, არამედ ავიატორთა მონაცემებიც, რომლებსაც ვიღებთ სარეწი დაზვერვის სამმართველოდან. (საქინფორმი).

გაზაფხული ზვრებში

თერჯოლის რაიონის მევენახეობის მეურნეობებში დაიწყო საგაზაფხულო აგროტექნიკური ღონისძიებები.

მუშაობას ერთ-ერთი პირველნი შეუდგნენ სოფელ ეწრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები. ამ სოფელში ვაზს 157 ჰექტარი უჭირავს, აქედან 116 ჰექტარი მსხმოიარეა.

ეწერელმა მევენახეებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის, ვალდებულება იკისრეს წლევანდელ სეზონში 5500 ცენტნერი ყურძენი გაყიდონ გეგმით გათვალისწინებული 4900 ცენტნერის ნაცვლად.

მეწინავეთა შორის ასახელებენ მექანიზატორებს მურთაზ კუბლაშვილს, ნოდარ გვენეტაძეს, გურამ ეგუტიძესა და მის ვაჟებს — გიასა და გოჩას.

● ●

სურათებზე: თერჯოლის რაიონის სოფელ ეწრის კალინინის კოლმეურნეობაში მიმდინარეობს ვაზის მექანიზებული შენამვლა; ახალგაზრდა მექანიზატორი მურთაზ კუბლაშვილი.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა

მახარაძული. ინიციატორები წლეულს სეზონში 100 ათას ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის ნედლეულს დაამზადებენ. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, საუკეთესოდ მოვლილ ჩაის პლანტაციებში ფოთოლი საკრეფად შემოვიდა. მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ ფოთლის კრეფას. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები პირველები გავიდნენ საკრეფად. მეურნეობის № 2 აგროუბნის (უფროსი — ბ. თოიძე) მეჩაიეებმა, ლენინის ორდენოსანმა ხუნუ დუდუჩავამ, გულნაზი კაკაბაძემ, თინა შავიშვილმა და სხვებმა კრეფის დღიური ნორმები ორმაგად შეასრულეს.

ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს მეურნეობის იმ აგროუბნებში, რომლებსაც მათე სანაძე და ჯონდო ხიდიბეგაშვილი ხელმძღვანელობენ. საყურადღებოა, რომ საუკეთესო ხარისხის ფოთლის კრეფისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში პირველი ადგილები მოიპოვეს მკრეფავებმა ეკატერინე თავდგირიძემ, ეკატერინა ბერეკაშვილმა, სონია ნიკოხოზოვამ და სხვებმა. რაოდენობაც, ხარისხიც!—ამ დევიზით კრეფენ ფოთოლს ლაითურელები. 10 მაისის ჩათვლით სულ 15 ტონაზე მეტი ფოთოლი ჩაბარდა ჩაის ფაბრიკას.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა იური მგალობლიშვილმა გვითხრა: — ლაითურელი მეჩაიეები წლის სეზონში 9500 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს მიჰყიდიან სახელმწიფოს. გეგმით გათვალისწინებული 8.800 ტონის ნაცვლად. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად აამაღლებენ პირველი ხარისხის ხვედრით წილს.

ლაითურელი მეჩაიეები სამართლიანად უსაყვედურებენ რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ მუშაკებს და აი, რატომ. მეურნეობის ჩაის საკრეფი 80 მანქანა სტარტზე ჰყავთ დაყენებული, მაგრამ რად გინდა, ჩაის საკრეფად ვერ გავლენ, გოფრირებული (შემწოვი) მილები არ აქვთ! აკლიათ 80 ცალი (თითო მანქანას 2 ცალი სჭირდება). ამას წინათ როგორც იქნა 13 ცალი გამოუგზავნეს, რაც საქმის მინიმუმსაც არ შველის. ეს მით უფრო სამწუხაროა, რადგან მეურნეობაში ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა დღესვალ უნდა გაჩაღდეს, შემწოვი მილები კი არსად ჩანს, მარტო დაპირებებით საქმე არ გაკეთდება. სეზონში მეურნეობამ 3.000 ტონა ჩაის ფოთოლი მანქანებით უნდა მოკრიფოს. ამიტომ რესპუბლიკის სათანადო ორგანიზაციებმა, რომლებსაც ეს ეხებათ, სასწრაფო ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ქ. ერევნის ქარხნიდან ამ ნაწილის შემოსატანად.

ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა წარმატებით დაიწყეს სოფლების შრომის, ნატანების, ლიხაურისა და სხვა კოლმეურნეობებმა. მამაცი მეჩაიეები დღითი დღე აძლიერებენ კრეფის ტემპს, ხუთრობა საქმე როდია, წელს ასობით ტონა ზეგეგმითი ჩაი უნდა დაამზადონ, რომლის დიდი ნაწილი მაის-ივნისის თვეებზე მოდის.

ბ. ჩხაიძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

მიწოდების დისციპლინის სრულყოფა დროის მოთხოვნაა

საბელმოკრულებო დისციპლინის დაცვისათვის პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის მუშაობის პრაქტიკისა და მიმდინარე წლის ოთხი თვის მანძილზე გლდანის რაიონის სამრეწველო საწარმოების მიერ პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მიწოდებისა და გამოშვების უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის სხდომაზე.

ინფორმაცია გააკეთეს პარტიის ქალაქ თბილისის ლენინისა და გლდანის რაიკომების პირველმა მდივნებმა რ. ჯავახიშვილმა და ო. ხიზანიშვილმა.

ჯგუფის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. ივანაშვილი, მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. მახარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. უყრაყრაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ზ. მესხიშვილი.

სამუშაო ჯგუფის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

აღინიშნა, რომ ლენინისა და გლდანის რაიონების მრავალ საწარმოში შექმნილი სპეციალური შტაბები ოპერატიულად არეგულირებენ პროდუქციის დროულ მიწოდებასთან დაკავშირებით ყველა წამოჭრილ საკითხს, პარტიის ლენინის რაიკომის ბიუროს ამასწინანდელმა სხდომამ მისცა რეკომენდაცია გაერთიანებებისა და ქარხნების ყველა პირველად პარტორგანიზაციაში შეიქმნას პროდუქციის მიწოდებისათვის ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების პარტიული კომისიები.

ნორმალურად ვერ მივიჩნევთ, თქვეს სხდომის მონაწილეებმა, როცა ცალკეული საწარმოები მომჭირნედ არ მუშაობენ, დიდი დანაკარგები აქვთ, წარმოებისათვის ხარჯავენ გაცილებით მეტ რესურსებს, ვიდრე საჭიროა და ნორმით არის განსაზღვრული. სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებს ნედლეულისა და მასალების უყაირათო ხარჯვა, აგრეთვე წარმოების ძვირფასი ნარჩენების დანაკარგები.

განვითარების ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის გადაყვანის ერთ-ერთი არსებითი პირობა ის არის, რომ მწარმოებლებმა ყოველმხრივ გაითვალისწინონ მომხმარებლის მოთხოვნილებების სტრუქტურა და მოცულობა. ამასთან დაკავშირებით მისასალმებელია ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებთან, მყიდველებთან გლდანის რაიონის სამრეწველო საწარმოების ზელმძღვანელთა რეგულარული შეხვედრები. სახელმეკრულებო დისციპლინის დარღვევის აღმოფხვრაში სულ უფრო მეტად გვეხმარება მეცნიერება. ტრიკოტაჟის საცვლის საწარმოო გაერთიანებაში შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი, ლენინისა და გლდანის რაიონების ყველა დიდ საწარმოში თანამედროვე ელექტრონულ-გამოთვლითი სადგურები ანალიზებენ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს კომერციული საქმიანობის ეფექტიანობაზე.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების განმსაზღვრელი ეკონომიკური და ორგანიზაციული საკითხები.

განხილული საკითხების გამო მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი და პრაქტიკული რეკომენდაციები. (საქინფორმი).

მწერალი მუდამ მებრძოლად რჩება

28 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გულთბილად მიულოცეს მწერალ რევაზ ჯაფარიძეს დაბადების 60 წლისთავი.

— დიდი ოსტატის ცხოვრებაში მომხდარი ეს თუ ის მნიშვნელოვანი მოვლენა სრულიად საქართველოსა საყოველთაო-სახალხო ხასიათს, საერთო-ეროვნულ ღირადობას იძენს, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, როცა მიმართა იუბილარს. — სწორედ ასეთი ეს თარიღი — თქვენი სამოცი წლისთავი, რომელსაც ფართოდ აღნიშნავს ჩვენი საზოგადოებრიობა.

ნამდვილი მწერლის შრომა მუდამ გმირობაა. ყოველივე ამასთან ერთად რომანების „მარუხის თეთრი ღამეების“, „ჯარისკაცის ქვრივის“, „ძმიმე ჯვრის“ ავტორისათვის ყურმოკრული ამბავი როდია მხედრული გმირობა. სოციალისტური სამშობლოსათვის მძიმე ომს იგი იარაღით ხელში იბრძოდა მისი ღირსების და თავისუფლებისათვის, ხოლო როცა ომი დამთავრდა, ყველაფერი იღონა, რათა დავიწყებას არ მისცემოდა ბევრი მისი გმირის სახელი.

კომუნისტმა მწერალმა თავისი ნიჭი მშვიდობიანი აღმშენებლობის სამსახურში ჩააყენა. მისი გამოჩენა რესპუბლიკის „ცხელ წერტილებში“ ყოველთვის ერთს ნიშნავს: ქართულ პეროიოდიკაში უნდა ველოდოთ ახალ მგზნებარე პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, პრობლემურ-ანალიზურ და მნიშვნელოვან ნარკვევებს. პირდაპირობა, გულწრფელობა, ცხოვრებისა და მისი პრობლემების შესახებ მოუდგომელი მსჯელობა — ასეთია იუბილარის ხასიათის კიდევ ერთი პატივსაცემი თვისება. არ იფარგლება რა მწერალთა საამქროთი, იგი თავისი დაკვირვებებითა და წინადადებებით მოდის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ეთათბირება პარტიულ მუშაკებს. მისი კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება — თუ საქმეს ხელი მოჰკიდა, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანს. რევაზ ჯაფარიძისადმი ხალხის სიყვარულის, მისი მოქალაქეობრივი ნიჭისადმი ნდობის გამოხატულება გახდა მისთვის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭება.

ჩემთვის არ არსებობს სხვა საქმე, სამშობლოს, პარტიის სამსახურის გარდა, — თქვა სპასუხო სამადლობელ სიტყვაში რევაზ ჯაფარიძემ — და მე ყოველთვის ეს ვარ, სადაც მათ სჭირდებათ, ყოველთვის ამათთან ვარ, ვინც მათი წინსვლისათვის იღვწის.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ჯ. ი. პატიაშვილი და ს. ე. ხაბეიშვილი. (საქინფორმი).

სახალხო დღესასწაულები ცხოვრებაში მკვიდრდება

ქმოგისა და მეგობ-გროგის ნიშნით

დღეს, როცა მთელი ჩვენი რესპუბლიკა ასე მახშტაბურად და ასეთი აღმავლობით ეგებება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის მოახლოებულ იუბილეს, უფრო და უფრო მნიშვნელობას იძენენ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღბეჭდილი სახალხო დღესასწაულები, რომელთა საერთო დამახასიათებელი ნიშანია ღრმა ინტერნაციონალიზმი. სწორედ ამ ნიშნით წარიმართა ამ დღეებში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაშმართული ზეიმები, რომლებიც მოახლოებულ დიდმნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა.

ლაგოდეხი. საზეიმოდ მორთულა რაიონული ცენტრი. ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დღესასწაული — „ჰერეთობა“ — ასე უწოდეს ლაგოდეხელებმა თავიანთ ზეიმს.

დილიდანვე უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი ქალაქის სპორტული მოედნისაკენ. ლაგოდეხელებთან ერთად აქ არიან სტუმრები მოძმე აზერბაიჯანიდან, აგრეთვე თბილისიდან, წალენჯიხიდან და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან.

საზეიმო მიტინგს ხსნის პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბაქრაძე.

ლაგოდეხელ მშრომელებს მიესალმებიან და ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს უსურვებენ პოეტი მ. ფოცხიშვილი, მსახიობები კ. მაზარაძე და გ. ბერიკაშვილი; მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის სახელით სიტყვას ამბობს აზერბაიჯანის კომპარტიის ბელაქნის რაიკომის პირველი მდივანი ა. ასადოვი, რაიონის მშრომელთა სახელით კი სამადლობელ სიტყვას — ლაგოდეხელი კოლმეურნე დ. ჭიპაშვილი.

ზეიმის მონაწილეთ თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დასი, ნორჩ მოცეკვავეთა ანსამბლი „მზიური“ და რაიონის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. სრულდება ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სხვა ხალხთა ცეკვები და სიმღერები.

ზეიმს დაესწრო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

ბათუმი. წლეულს მეორედ ამარობა აჭარის დედაქალაქში დი-

(დასასრული მე-4 გვ.).

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

მეგობრობაც, მოყვრობაც

ღია წერილი ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საპატიო წევრს მიხეილ ალექსანდრეს ძე ზოლოსოვს

ძვირფასო, დიდად პატივცემულო მიხეილ ალექსანდრეს ძე! დღეს მთელი ჩვენი საკოლმეურნეო ოჯახი, სოფელ ნატანების ყველა მცხოვრები ზეიმობს თქვენი დაბადების დღეს. თითოეული ჩვენგანის თვალში დღესასწაული იძენს ძალზე პირადულ, სანუკვარ, ინტიმურ ელფერს, როგორც ეს ჩვეულებრივ ზდება ხოლმე ძვირფასი და ახლობელი ადამიანის დაბადების დღეს. და თუ გადაწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ თქვენდამი ჩვენი ეს წერილი, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში ბევრნი ძვირფას და ახლობელ ადამიანად გთვლიან.

ვიხსენებთ ჩვენს ბოლო შეხვედრას, მას შემდეგ 15 წელი გავიდა, მაგრამ იგი კვლავ თვალწინ გვიდგას.

იმ დღეებში, როდესაც დაათვალიერეთ ნატანების აყვავებული მიდამოები, რომლებიც კოლხეთის ჭაობებს გამოუტაცეთ, თქვენ, შესძახეთ: „აი, საქართველოს გატეხილი ყამირი!“.

როგორც ფასდაუდებელ რელიკვიას, უწმინდეს მეგობრობას, ისე ვუფრთხილდებით და ვუვლით თქვენს მიერ დარგულ ცეტრუსებს, ოთხ ტანწერწეტა კვიპაროსს კოლმეურნე კონსტანტინე გუჯაბიძის ეზოში ვეტერანის დიდ სამამულო ომში დაღუპული ოთხი შვილის ხსოვნის პატივსაცემად რომ დარგეთ. გიიზარდა ხეები მეგობრობის პარკში, რომელსაც კოლმეურნეები სიყვარულით „ზოლოხოვის პარკს“ უწოდებენ. იქვე მახლობლად გაშლილა ფრონტიდან შინმოუსვლელი 300 თანასოფლელის მოსაგონებლად გაშენებული ციტრუსის პლანტაცია.

ამ თხუთმეტიოდე წლის მანძილზე ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობა — .მილიონერი კოლმეურნეობა, რომლის საპატიო წევრიც თქვენ ხართ, ამაყოფს თავისი 22 სოციალისტური შრომის გმირით, მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებით. რაიონში მოკრეფილი ჩაის საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვანია ჩვენი წილი. მაგალითად, შარშან ქვეყანას მიეცემა 6.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გადადებული ვალდებულებები ვიკისრეთ მომდინარე წელსაც.

ბოლო ათ წელიწადში თითქმის ერთისამად გაიზარდა ჩაის ჰექტარობრივი მოსავლიანობა, ექვსჯერ გადიდდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. ეკონომიკის ზრდა პირობებს გვიქმნის სოფლის სოციალური განვითარებისათვის.

შრომითს წარმატებებში — ჩვენ ამას კარგად ვხედავთ — ხორცშესხმულია საბჭოთა ხალხების მეგობრობა. ნატანებში ერთიან ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, და მთელი ჩვენი სიმდიდრე, ერთობლივი მეცადინეობის, შრომითი ძმობის ნაყოფია.

თქვენი სახელი, ძვირფასო მიხეილ ალექსანდრეს ძე, ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სახელია საქართველოში. თქვენი წიგნები აქ 22-ჯერ გამოიცა და მათმა საერთო ტირაჟმა 180 ათასს გადააჭარბა. ეს იმიტომ, რომ ისინი ღაღადებენ სიმართლეს აღმშენებელი ხალხის შესახებ, გვასწავლიან მშობლიური მიწის სიყვარულს, შრომის პატივისცემას. არის მათში კიდევ ერთი მიმზიდველი ძალა — თქვენი წიგნების გმირების გაცნობა იმ ადგილებისაკენ გვიზიდავს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, იტანჯებოდნენ, უყვარდათ, ახალ ცხოვრებას აშენებდნენ... და იმის მიუხედავად, რომ სტანიცა ვეშენსკაია, სადაც დგას თქვენი სტუმართმოყვარე სახლი, საქართველოდან შორსაა, იგი ჩვენთვის ახლობელი და მშობლიური გახდა. ქართველებს ასე მიაჩნიათ: არ შეიძლება საკუთარი სახლი გიყვარდეს, თუ არ გიყვარს მეგობრის სახლი, შეუძლებელია სრულად შეაფასო საკუთარი შრომის ნაყოფი, თუ ისე არა ხარ აღზრდილი, რომ ძმათა შრომა დააფასო. როგორი ღარიბი იქნებოდა ჩვენი სული უამგრძნობებოდ! რა ღარიბები ვიქნებოდით, რომ ჩვენს წინაშე არ გადაშლილიყო რუსული ენის ფასდაუდებელი სიმდიდრე, უკიდეგანო, თვალუწვდენელი დონისპირა სივრცეები, ჩვენს სულში რომ არ დამკვიდრებულიყო ზოლოხოვის მზარის დიდება და მშვენიერება!

თქვენ, მიხეილ ალექსანდრეს ძე, გულწრფელად გახარებთ ჩვენი წარმატებანი. გმადლობთ ამ სიყვარულისათვის, ძმობის აღმფრთოვანებელი სიხარულისათვის, თქვენი დიადი შემოქმედებისათვის!

თქვენი დაბადების დღეს, 24 მაისს, ყოველწლიურად დიდ ლიტერატურულ დღესასწაულად აღვნიშნავთ, ამჯერადაც ნატანებში გაიმართება ზოლოხოვის კითხვები, ვნახავთ თქვენი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულ ფილმებს, მოვაწყვეთ წიგნებისა და ილუსტრაციების გამოფენა, გავმართავთ ლიტერატურულ საღამოს. ამჟამად ეს დღესასწაული დაამშვენა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღნიშვნისათვის მზადებამ, ამიტომ დღეს განსაკუთრებული პატივისცემით წარმოვთქვამთ თქვენ სახელს, რომელიც განასახიერებს ჩვენს ურღვევ ძმობას, რაც სისხლით ნათესაობაზე უფრო მტკიცე გახდა. ჩვენ ვამაყობდით და ვამაყობთ თქვენთან, კომუნისტ მწერალთან მეგობრობით. ამ მეგობრობაში ყოველივე წმიდათაწმიდაა, როგორც ჩვენი ხორბლის მარცვალი, როგორც ჩაის ბუჩქის ნორჩი დუყები, როგორც კარგი სიმღერის სიტყვები!

ძვირფასო მიხეილ ალექსანდრეს ძევ, მიიღეთ ჩვენი წერილი, როგორც საქართველოს სახელით სიყვარულის კიდევ ერთი გამოვლინება თქვენდამი — გამოჩენილი მწერლისადმი დიდი რუსეთისა, რომელმაც ერთიან ურღვევ კავშირად შეადუღაბა ჩვენი ქვეყნის ხალხები.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა დავალებით — კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ბივი წითლიძე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ფლისთავის გამო

ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის სახურსათო პროგრამა 1990 წლამდე პერიოდისათვის. იგი მიმდინარე ათწლეულისათვის პარტიის ეკონომიკური პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია და ითვალისწინებს ის ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება. მისი რეალიზაცია შესაძლებლობას იძლევა წარმატებით გადაიჭრას სკკპ XXVI ყრილობის მიერ წამოყენებული ამოცანა — რაც შეიძლება მალე გაუმჯობესდეს სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება.

საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, დიდი აღფრთოვანებით აღიქვეს და მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება პლენუმის მიერ წამოყენებულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის. პლენუმის მუშაობის წლისთავის წინ შრომითს კოლექტივებში აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს, ამუშავებენ ახალ ღონისძიებებს, რათა თითოეულმა მათგანმა მეტი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ამ მასალებში ნაჩვენებია, თუ როგორ წყვეტენ სასურსათო პროგრამის რეალიზაციის პრობლემებს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგში, რა გაკეთდა უკვე და რა უნდა გაკეთდეს.

დიდი მიღწევების წელი

შაბრიკის კართან რიგი აღარ იქნება

მახარაძის რაიონის მთელი რიგი მეჩაიეობის მეურნეობებს მოთხოვნილებებს უზრუნველყოფს ჩაის ფაბრიკა, რომელიც ნარუჯის საბჭოთა მეურნეობაში აშენდა. მან გადაამუშავა პირველი რამდენიმე ტონა ნედლეული. დღე-ღამეში 90 ტონა სიმძლავრის საწარმო აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით.

გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა ნაკლებობა დიდხანს აფერხებდა მეჩაიეობის განვითარებას, გაელინის ახდენდა პროდუქციის ხარისხზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში დიდი მუშაობა გაწეული გადამმუშავებელ საწარმოთა სიმძლავრეების გადიდების მიზნით. მახარაძის, ზუგდიდის, ხობის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონებში აშენებულია ფაბრიკები. გალისა და ლანჩხუთის რაიონებში დანერგილია ჩაის ფოთლის კრეფის პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომლად მეშვეობითაც უფრო ზუსტად არეგულირებენ გადასამუშავებლად მარტო ახალი პროდუქციის მიღებას.

საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. მალაზონიამ თქვა:

— მიმდინარე სეზონი გარდამტეხი უნდა გაწდეს მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკებისათვის. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ჩაის ფოთლისა და მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ბევრ რაიონში მოგვარებულია, კერძოდ, მეჩაიეებისა და ჩაის ფაბრიკების მუშაკთა საქმიანი პარტნიორობა. გარდა ამისა, დიდ გადამმუშავებელ საწარმოთა აგებასთან ერთად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავიანთი სახსრებით ააშენეს ჩაის მიკროფაბრიკები. ასეთი მინიფაბრიკები უკვე ოცდაექვსია.

შექმნილია მიღებული ჩაის ფოთლის რაოდენობასა და გადამმუშავებელი მრეწველობის შესაძლებლობებს შორის დისპროპორციის ლიკვიდაციის პირობები.

როცა მიწას ყაირათიანი პატრონი ჰყავს

*** ბრიგადული** იჯარის უპირატესობანი თვალნათლივ ცხადყვეს თეთრიწყაროს რაიონის სოფლტექნიკის მექანიზატორებმა, მათ მაღალ დონეზე შეასრულეს კოდისა და თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობებში. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მთელი კომპლექსი და ვადაზე ადრე დაამთავრეს სიმინდისა და ბოსტნეულის თესვა.

არადა, წინათ მეურნეობებში მეურნეობებსა და ბრიგადის წევრებს შორის, დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამ ფართობზე მოჰყავთ ხორბალი და ქერი, სიმინდი, კარტოფილი და სხვა კულტურები. მექანიზატორებმა გადაწყვიტეს მინდვრის სამუშაოების მთელი ციკლი შეასრულონ საუკეთესო ხარვეზებში, დანერგონ მოვლის პროგრესული ტექნოლოგია, ყოველი ღონე იხმარონ უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

რა მოგვცა რაიონში სიახლის დანერგვამ? შარშან, მაგალითად, როცა პირველად შეიქმნა მოსავლის ასაღები სატრანსპორტო ბრიგადა, ერთი კომბაინის საშუალო დატვირთვამ შეადგინა 280 ჰექტარი, მაშინ, როცა საშუალოდ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი უტოლდება 171, ხოლო საშუალოდ რესპუბლიკაში — 108 ჰექტარს. გეგმის შესრულების შემთხვევაში მექანიზატორი ძირითადი ხელფასის გარდა იღებს დაახლოებით 4 ტონა მარცვლეულს, დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის — ყოველ ჰექტარზე ზეგეგმითი მოსავლის 0,5 ცენტნერს.

სიღნაღის, ახმეტის, ცხაკაიას, დმანისის რაიონებში ამ და ანალოგიური ბრიგადების გამოცდილებით ახლა ბრიგადული იჯარის მეთოდით მინდვრის სამუშაოებს ასრულებენ რესპუბლიკის პრაქტიკულად ყველა რაიონში.

მლაშობებს სარგებლობა მოაქვთ

აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილი მლაშობები საკვებწარმოების სამსახურში დგება. წლის დამდეგიდან 1600 ჰექტარით გაფართოვდა სიღნაღის რაიონის რესპუბლიკაში უდიდესი მეცხოველეობის კომპლექსის საკვები კულტურების სავარგულები. ეს არის მნასთან ერთად გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უფრო ფართო ათვისებისა და მელიორირებული მიწების უკუგების გაზრდის ახალი შესაძლებლობანი. მელიორატორებს, კერძოდ, ევალებათ ექსპლოატაცია გაუწიონ სამეურნეოთაშორისო და შიდასამეურნეო სარწყავ სისტემებს. ახლა მიწათმოქმედებთან ერთად მათ აკისრიათ სრული პასუხისმგებლობა სარწყავ მიწებზე მოწეული მოსავლისათვის. ამაზეა დამოკიდებული მელიორატორთა შრომის ანაზღაურებაც.

ხუთწლედის დამლევამდე მათ უნდა გაიორკეცონ ათვისებული მლაშობების ფართობი. ეს აღმოსავლეთ საქართველოს მხვნელ-მთესველებს, ისევე როგორც მევენახეებს, საშუალებას მისცემს წარმატებით გასავითარონ მეცხოველეობაც — გაზარდონ თავიანთი წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა.

უხვი მოსავალი საერთო საზრუნავია

ხობის რაიონის ჭალადიდის საბჭოთა მეურნეობის სავარგულებში მეურნეობის მშრომელებთან ერთად საგაზაფხულო-საზაფხულო სამუშაოებს აწარმოებენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებიც. მათი რეკომენდაციებითა და მონაწილეობით აქ თესავენ ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის სიმინდს „ქართული-52“, რომლის ღირსება ისიც არის, რომ მისი მოვლა-მოყვანა შეიძლება ინდუსტრიული ტექნოლოგიით.

იქმნება პირობები მაქსიმალურად მექანიზებული გაზადონ სიმინდის მოვლა-მოყვანის სამუშაოები, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სასუქი და სარწყავი წყალი. ამ სეზონში ფართობი სიმინდისათვის, რომლებიც მოჰყავთ ინდუსტრიული მეთოდით, რაიონში შეადგენს დაახლოებით 600 ჰექტარს.

ამის შესახებ, თუ რა შედეგი მოაქვს მეცნიერებთან წარმოების მუშაკთა თანამეგობრობას, შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ საბჭოთა მეურნეობაში შარშან ჰექტარზე საშუალოდ მოიწიეს 30 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, უწინ კი ცხრა ცენტნერს არ აღემატებოდა. ანალოგიურ ზრდას მიაღწიეს სოიის მინდვრებშიც.

— ვფიქრობთ, რომ წლევანდელი წელიც მოსავლიანი იქნება, — თქვა საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკვებწარმოების განყოფილების გამგემ ვ. კობეშავიძემ.

მეცნიერის რწმენა საფუძვლიანია. კულტურის მოყვანისათვის მკაცრად იცავენ აგროწესებს, ეს კი სამედო გარანტიაა იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობა „ქართული-52-ის“ მოსავლიანობას ჰექტარზე 36 ცენტნერამდე გაზრდის.

მუშაობას წარმართავენ ისე, რომ მისი მაღალი საბოლოო შედეგით დაინტერესებული არიან საბჭოთა მეურნეობის მშრომელებიც და ინსტიტუტის სპეციალისტებიც. მათ მატერიალურად ანაზღაურებენ ზეგეგმითი პროდუქციის მიღებისათვის.

ამ წლიდან მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივთან შემოქმედებით თანამეგობრობაში ჩაება ხობის რაიონის ყველა მეურნეობა.

თავისთვის და სხვებისთვისაც

მოსავლის აღების წინ კარტოფილის ნათესების ბოლო დამუშავებას — მორწყვას შეუდგნენ ბოლნისის რაიონის მიწათმოქმედნი. ნათესებს წყალს აწვდის ტაფანის პლატოზე აგებული ახალი სარწყავი სისტემა. დაგეგმილია ოთხასი ჰექტარი კარტოფილის ახალი ნათესებიდან თითოეულზე მოიწიონ 140-150 ცენტნერი კარტოფილი — თითქმის ერთნახევარჯერ მეტი გეგმასთან შედარებით. საადრეო მეკარტოფილეობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სწრაფად განვითარებადი დარგია. მისი აღორძინების უმნიშვნელოვანესი წანამძღვარი გახდა წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია. მოკლე დროში ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, რომელთა ბუნებრივი პირობები ყველაზე უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა ამ კულტურის მოვლა-მოყვანისათვის, კარტოფილს გამოეყო დიდი ფართობები, აშენდა კარტოფილსაცავები, იაროვიზატორები, დასატვირთ-გადმოსატვირთი ბაქნები, გაყვანილია ნათესებამდე მისასვლელი გზები. მოგვარდა ბელორუსიიდან სათესლე მასალის სტაბილური მოწოდება. ამის შედეგად რესპუბლიკამ, ახორციელებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა საქართველოში განვითარდეს საადრეო მეკარტოფილეობაც, უკვე შარშან მთლიანად უზრუნველყო რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე. უფრო მეტიც, წარმოიქმნა შესაძლებლობა გაიზარდოს საერთო-საკავშირო ფონდში კარტოფილის გაგზავნის მოცულობა. მიმდინარე სეზონში დაგეგმილია ქვეყნის სამრეწველო ცენტრების მშრომელებს გაუგზავნონ 69 ათასი ტონა კარტოფილი.

მიწათმოქმედთა წინაშე დასახულია მაგისტრალური ამოცანა — უახლოეს წლებში ეკონომიკურად უზრუნველყონ რესპუბლიკის მოთხოვნილება საკუთარი წარმოების საგვიანო კარტოფილზეც. ეს ნიშნავს, რომ ხუთწლედის დამლევისათვის კარტოფილის წარმოება ერთიორად უნდა გაიზარდოს.

სახურავი ვენახებისათვის

სეტყვისაგან დაცვის საიმედო საშუალებას იღებენ ახმეტის რაიონის მატნის საბჭოთა მეურნეობის ვენახები. აქ ექსპერიმენტის წესით ვენახებს ზევიდან გადახურავენ კაპრონის ქსოვილით. ლითონის კონსტრუქციებზე გადაჭიმულმა გამჭვირვალე სახურავმა უკვე გადაფარა რვა ჰექტარი ვენახი.

გადახურვისათვის სპეციალური ლითონკონსტრუქციები და მასალა შეიმუშავეს და დაამზადეს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ს. ზავრიევის სახელობის საშუქნებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის, თბილისის საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მეცნიერებმა და სპეციალისტებმა.

ხორციელდება რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებშიც, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ საჭიროა დიჩქარებული ტემჩით განვითარდეს მევენახეობა საქართველოში, რესპუბლიკაში შემუშავდა დარგის შემდგომი აღმავლობის პროგრამა. ხუთწლედის დამლევისათვის გათვალისწინებულია, მაგალითად, ყურძნის წარმოება გაზარდონ 1200 ათას ტონამდე. ამ ამოცანის გადაჭრას ხელს შეუწყობს სტაჭიურ უბეღურებათაგან ვენახების დამცველ ღონისძიებათა განხორციელება.

(საქინფორმი)

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში შექმნილია ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადა, რომელიც ერთიანად განწეხით მუშაობს. მას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი ელმავალმშენებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გურამ მეტონიძე.

ელექტრომემონტაჟიორები, რომლებიც დაეუფლნენ მომიჯნავე პროფესიებს, შემოქმედებითად შრომობენ, და მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ. ერთიანი განწეხის ბრიგადა აწყობს „ვლ-10“ და „ვლ-11“ ელმავლების ელექტრომოწყობილობის ყველა კვანძს. ამ ლოკომოტივს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს. გურამ მეტონიძის ბრიგადის ანგარიშზე წლეულს უკვე ერთი ზეგეგმითი „ვლ-11“ ელმავალი. ელექტრომემონტაჟიორებმა გადაწყვიტეს წლის დამლევამდე დაზოგილი მასალებით აწყონ „ვლ-11“ ერთი ლოკომოტივის ელექტრომოწყობილობის ყველა კვანძი.

სურათზე: ბრიგადირი გურამ მეტონიძე და ელექტრომემონტაჟიორი სანა ცინცაძე, ხაჩიკ მიქაელიანი, მერაბ ხოლუაშვილი და გია სართანია აწყობენ საპატიო ხუთკუთხედიანი „ვლ-11“ ლოკომოტივის ელექტრომოწყობილობის კვანძებს.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაეცნენ ქართველი მშენებლების გამოცდილებას

თბილისში რამდენიმე დღის იყო ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებელთა დელეგაცია მშენებლობის მინისტრის პ. ჭხენფონის მეთაურობით. საბჭოთა კავშირში, სადაც სტუმრები ეცნობიან მშენებელთა გამოცდილებას, დელეგაცია ჩამოვიდა სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს მოწვევით.

საქართველოში ყოფნის დროს სტუმრებმა დაათვალიერეს არქიტექტურის თვალსაზრისით საინტერესო დიდი ნაგებობები — ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუირებული შენობა, რესპუბლიკის მთავარი მოედანი, „დინამოს“ სტადიონი, ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი და სხვა, აგრეთვე თბილისის, გორის, მცხეთის მთელი რიგი ახალმშენებლობები.

დელეგაცია ეწვია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითის და საპროექტო ინსტიტუტს, „ქალაქმშენის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს.

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის ცხოვრება, მშენებლობის უზარმაზარი მასშტაბი და პერსპექტივები.

დაახასიათა რა რესპუბლიკის წვლილი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკაში, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ მოპოვებული წარმატება შესაძლებელი გახდა საბჭოეთის ყველა ხალხის ძმური დახმარების, მათი ურღვევი კავშირის მეოხებით.

ამხ. ო. ჩერქეზიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სოლიდარობენ ლაოსის რევოლუციას, მიესალმებიან სსრ კავშირისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას.

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრმა პ. ჭხენფონმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარებას ლაოსის ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში. ჩვენს ქვეყანასთან დადებული გრძელვადიანი შეთანხმების საფუძველზე, — თქვა მან, — ჩვენთან აშენებენ ჰოსპიტლებს, პოლიტექნიკუმს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო სახელოსნოებს, ხიდებს, გზებს...

საქართველოში ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ მშენებლობის დარგში, — თქვა პ. ჭხენფონმა.— თქვენი შესანიშნავი ისტორიული ძეგლები მოწმობს, თუ რა მდიდარი ტრადიციები აქვს ქართულ ხუროთმოძღვრებას. საინტერესოა მრავალი ნაგებობის თანამედროვე არქიტექტურული გადაწყვეტა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ქედიშვილი, სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ლ. ბიბინი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ვ. გოგოლაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის განყოფილების გამგე ჯ. მხეიძე, რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. ქუთათელაძე. (საქინფორმი).

მწვავე სიგნალი

ოცდაორი წელი... ამუშავების მოლოდინში

შახტი, ისე როგორც ადამიანი, ბერდება, ძალა ელევა და სუსტდება. ასე მოუვიდა ქალაქ ტყიბულის, ერთ დროს სახელგანთქმულ, დიდი შრომითი ტრადიციების მქონე დასავლეთის შახტასაც. მოახლოებული მზის ჩასვენება მან ჯერ კიდევ ამ მეოთხედი საუკუნის წინათ იგრძნო. დარგის წამყვანმა საწარმომ თანდათან შეაღნილა ქვანახშირის ამოღების ტემპი. მის ღრმა ჰორიზონტებში მოიმატა სამთო დაწნევამ, გაძვირდა ზედაპირზე ამოტანილი სათბობის თვითღირებულება.

სასწრაფოდ მოიწვიეს კომპეტენტური სპეციალისტებისაგან შედგარი საგანგებო სხდომა. სამთოელებმა საქმიანად იმსჯელეს, ყველაფერი აწონდაწონეს და მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საჭირო იყო საწარმოს გაახალგაზრდავება, მისი სიცოცხლის გახანგრძლივება. და აი, 1960 წლის გვიანი შემოდგომის ერთ დღეს ლაღუმის გრიალმა არემარე შეაზანზარა. „საქშახტმშენის“ ტრესტის „ტყიბულშახტმშენის“ სამმართველოს კოლექტივმა დაიწყო ახალი, „დასავლეთ-2“ შახტის მშენებლობა. ამ შახტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი გადახსნიდა ახალ, ტყიბულ-შაორის ქვანახშირის მდიდარ საბადოს, რომლის წიაღისეულის მარაგი ათეული მილიონი ტონით განისაზღვრება. საპროექტო სიმძლავრის ათვისების შემდეგ „დასავლეთ-2“ შახტს ქვეყნისათვის ყოველწლიურად უნდა მიეცა დაახლოებით 600 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი საკოქსე ქვანახშირი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მიხედვით „დასავლეთ-2“ შახტს დღეისათვის ამოღებული უნდა ჰქონდეს 6 მილიონამდე ტონა ქვანახშირი.

გავიდა... ოცდაორი წელი, მაგრამ ამ ხნის მანძილზე „დასავლეთ-2“ შახტის კოლექტივს ერთი ტონა ქვანახშირიც კი არ ამოუღია! სახელმწიფოსათვის ერთი მანეთის უკუგებაც არ მიუცია.

ოცდაორი წლის მანძილზე შახტის მშენებლობის წლიური გეგმა შახტმშენებლებმა მხოლოდ რვაჯერ შეასრულეს. სამჯერ ჩაიშალა მშენებარე შახტის საექსპლოატაციოდ გადაცემის დადგენილი ვადა. მშენებლობის გაჭინაურებამ თავის მხრივ დაღი დაასვა ტყიბულში ქვანახშირის ამოღებას. იგი ორჯერ და უფრო მეტად შემცირდა მერვე ხუთწლედის ბოლოს მიღწეულ დონესთან შედარებით.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე არავინ იღებდა ზომებს ჩამორჩენის დასაძლევად. მშენებლობაზე შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა არაერთხელ განიხილეს რესპუბლიკის და ქალაქის ხელმძღვანელ ორგანოებში, გამოიცა მრავალი დადგენილება, გადაწყვეტილება, განკარგულება ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, მაგრამ მდგომარეობის რეალურ გაუმჯობესებას ამან ვერ უშველა.

ახალი შახტის მშენებლობის ჩაშლაში, ჩვენი აზრით, ბრალი მიუძღვით, როგორც გენერალურ მოჯარეს — „საქშახტმშენის“ ტრესტს და მისი „ტყიბულშახტმშენის“ სამმართველოს, ისე დამკვეთსაც — ყოფილ საქართველოს ქვანახშირის კომბინატს, რომელიც ახლა საწარმოო გაერთიანება „საქნახშირად“ არის გარდაქმნილი. პირველი — როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს — მოწოდებული უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, აშენოს ახალი შახტები და სამთო ჰორიზონტები, მაგრამ იგი უფრო მეტად სხვა, მეორეხარისხოვანი სამუშაოებითაა დასაქმებული. მეორე — დამკვეთი წლების მანძილზე შახტის მშენებლობაზე ასათვისებელ თანხებს გამოყოფდა არასტაბილურად, არსებული სამუშაო ფრონტის გაუფალისწინებლად, რასაც არ შეეძლო დაღი არ დაესვა მშენებლობის გაჭიანურებისათვის.

მოვიყვანოთ ფაქტები: მეათე ხუთწლედში ტრესტის მიხედვით საწარმოოო გაერთიანება „საქნახშირის“ ობიექტების მშენებლობის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მან ტრესტის მთელი გეგმის მხოლოდ 29 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ არც მეთერთმეტე ხუთწლედში სწორდება საქმე, გეგმის შემცირების ტენდენცია კვლავ გრძელდება! მაგალითად, ტრესტის მიერ საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ ტყიბულის ობიექტებზე 1981 წელს გეგმა შესრულდა 66 პროცენტით, შარშან კი — 85.

როგორც ჩანს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო რატომღაც კმაყოფილდება მხოლოდ „საქშახტმშენის“ ტრესტის გეგმის საერთო შესრულებით და მეტ პასუხს არ სთხოვს ტრესტს თავისი ძირითადი ფუნქციის — შახტების მშენებლობის დავალების შესრულების საქმეში.

რვა წლის წინათ სამუშაოთა მოცულობის შემცირების გამო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და მისმა „საქშახტმშენის“ ტრესტმა იძულებითი ნაბიჯი გადადგეს — შეაერთეს „ტყიბულშახტმშენისა“ და „ტყიბულმშენის“ სამმართველოები. ამით საგრძნობლად შეყოვნდა გვიანბებისა და სხვა მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლობის ტემპი. მოხდა ისე, რომ მშენებლებმა რატომღაც ძირითადი ყურადღება მეორეხარისხოვან, მიწისზედა ობიექტების მშენებლობაზე გადაიტანეს, ხოლო მიწისქვეშა გამონამუშევრების გაყვანის საქმეზე შემცირდა საჭირო დახმარება და მზრუნველობა.

რა მდგომარეობაა ახლა მშენებლობაზე?

„დასავლეთ-2“ შახტი მეოთხე ვადის თანახმად გაისად უნდა ამუშავდეს. მოკლე დროში შახტმშენებლებმა არა მარტო უნდა აეშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ გეგმით გათვალისწინებული ობიექტები, არამედ დაფარონ წლების მანძილზე წარმოშობილი დავალიანებაც. სულ შახტის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 17159 ათას მანეთს შეადგენს. აქედან მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის ათვისებულია მხოლოდ 13656 ათასი მანეთი, ანუ მთელი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 79,5 პროცენტი. დარჩენილი სოლიდური თანხის ათვისება, ისიც ასეთი შემჭიდროებულ დროში, იოლი როდია. მშენებლებს დასჭირდებათ მთელი ძალების მობილიზება, რეზერვების ამოქმედება, რასაც ჯერჯერობით აქ ვერ მიაღწიეს.

გავიდა ახალი ხუთწლედის პირველი ორი წელი. კალენდარს თანდათან აკლდება შუაგული წლის დღეები, მაგრამ ის გარდატეხა, რომელსაც მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, არ ჩანს. პირიქით, ბოლო ხანებში მესამე სამშენებლო უბნის კოლექტივმა, რომელსაც ძირითადად დაკისრებული აქვს ვენახების გაყვანა-გამაგრება, საგრძნობლად გაუარესა მუშაობის მაჩვენებლები. შარშან მაგალითად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა მან მხოლოდ 23,5 პროცენტით შეასრულა.

ამას წინათ მე საშუალება მომეცა დავსწრებოდი შახტმშენებლების ოპერატიულ თათბირს, სადაც შეჯამდა მორიგი კვირის მუშაობის შედეგები. მესამე სამშენებლო უბნის უფროსმა კ. ჩხარტიშვილმა და მისმა მთავარმა მექანიკოსმა გ. გვეტაძემ მეტად არასახარბიელო სურათი დახატეს. ყველა მიწისქვეშა სანგრევში მეხუთე თვეა, რაც გვირაბების გაყვანა შეჩერდა.

მაინც, რა არის მშენებლობის ახლანდელი ტემპის ასეთი შემცირების მიზეზი?

აი, რა მიამბო კადრის შახტმშენებელმა, გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ზ. სოფრომაძემ:

— ხუთი წლის წინათ ერთ-ერთ ღრმა ჰორიზონტში, ფუძე ქნებში დავიწყეთ მასალების ჩასაშვები, ქვანახშირის ამოსაზიდი და მუშების სასიარულო ქანობების გაყვანა-დაბეტონება. თითოეული ქანობის სიგრძე 850 მეტრია. გეოლოგთა შეცდომის გამო 1980 წელს მივადექით ქვანახშირის მძლავრ გადასასხსნელ ფენებს. ჩემი დიდი ხნის მუშაობის გამოცდილებით ვიცი, რომ ქვანახშირის ფენაში გასაყვანი გვირაბი უფრო საიმედოდ უნდა გამაგრდეს მონოლითური რკინა-ბეტონის სამაგრით. სამწუხაროდ, ეს ასე როდი მოხდა. საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ სამეცნიერო-ტექნიკური სამსახურ გადაწყვეტილებით ჩვენ, გამყვანებს მოგვცეს მითითება უარი გვეთქვა ეგრეთ წოდებულ მონოლითზე და გვირაბები გადაგვემაგრებინა მხოლოდ და მხოლოდ რკინა-ბეტონის ხიმებით. ვისაც შახტში უმუშავია, იცის, რომ ასეთი ტიპის გამაგრება კარგად ატარებს ჰაერის ჭავლს. აქაც ასე მოხდა. ჰაერის ჭავლის თვითაალებადი ქვანახშირის ფენასთან შეხებამ მიწისქვეშა ხანძარი გამოიწვია. გამყვანთა ბრიგადებმა სასწრაფოდ დატოვეს სანგრევები, ხოლო მეხანძრეებმა საგანგებო ღონისძიებანი განახორციელეს ხანძრის ჩასაქრობად. მათ ორი ქანობი, რომელთა სიგრძე 200-200 მეტრია, პირთამდე წყლით აავსეს...

ამ დრამატული შემთხვევიდან უკვე რამდენიმე თვე გავიდა. გაერთიანება „საქნახშირის“ ხელმძღვანელები ვალდებულნი იყვნენ გადაუდებელი ღონისძიებები განეხორციელებინათ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ახლა, პირველ ყოვლისა, საჭიროა ქანობებიდან ამოიტუმბოს იქ დაგროვილი 3200 კუბური მეტრი წყალი, შედეგს გვირაბების გამაგრების და სხვა გადაუდებელ სამუშაოთა საბოლოოდ გადაწყვეტილი პროექტი. სამწუხაროა ისიც, რომ არც ერთი ეს საშური საქმე ჯერჯერობით არ მოგვარებულა.

ახლა ტყიბულშახტმშენის სამმართველოსა და ახალი შახტის მშენებლობას სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის ერთ-ერთი ძველი და გამოცდილი შახტმშენებელი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ი. ლომია, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— ჩამორჩენას მალე დავძლევთ, ახალი შახტის მშენებლობის ტემპიც დაჩქარდება და დათქმულ ვადაში ამუშავდება, თუ დროზე მივიღებთ ყველა საჭირო სამშენებლო მასალებს, მოწყობილობებსა და სამთო ტექნიკას.

მშენებლებს ამჟამად როგორც ჰაერი ისე სჭირდებათ ფუძე ქანის დამტვირთავი მექანიზმის სამი კომპლექტი, 500 ტონამდე სხვადასხვა დიამეტრის ლითონის მილები, 250 ტონა არმატურის რკინა. სამშენებლო უბნები თითქმის ყოველდღე განიცდიან ბეტონის ნაკლებობას, რის გამოც დიდია შიდა საწარმოო მოცდენები. ტექნიკური კომპლექტაციის საწარმოო სამმართველოს ტყიბულის ბაზა რეგულარულად არ ამარაგებს მშენებლებს ისეთი სამშენებლო მასალებით, როგორიც არის ხილა, ღორღი, ლითონის სამაგრი და სხვა. დამხმარე საწარმოთა ტყიბულის კანტორა საჭირო სიმძლავრეთა ნაკლებობის გამო მშენებლებს ვერ აკმაყოფილებს ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით. სამშენებლო მასალების ნაკლებობის გამო დიდმნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტზე არ არის დანერგილი ორცვლიანი მუშაობა.

ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს დათავრდეს „დასავლეთ-2“ შახტის მშენებლობა, საჭიროა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ განახორციელოს საჩქარო და ყველაზე ქმედითი ღონისძიებანი.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობის ზოგიერთი მაჩვენებელი

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები 1983 წლის 1 მაისისათვის

			რძის საშუალო ნაწველი ერთ ფურაზე		მიღებულია ბრო და ბალი 100 ფურსა და ფურკამეჩზე
	ც.	გასული წლის საბამის პერიოდთან შედარებით (+, —), ც.	ფურკამეჩების ხელფასის ფონდი ერთ ფურკამეჩზე ერთ დღეში	სულ	გასული წლის საბამის პერიოდთან შედარებით (+, —), სულ
სულ საქართველოს სსრ	469	+11	27	41	+1
მათ შორის:					
აფხაზეთის ასსრ	477	+43	29	29	+4
აჭარის ასსრ	470	+16	27	40	+1
სამხრეთ ოსეთის აო	408	+13	27	43	—1
რაიონები:					
ახაშის	626	+53	24	42	+1
ადიგენის	353	+18	24	62	+9
ამბროლაურის	206	—16	23	38	+2
ასპინძის	341	+40	25	77	+9
ახალქალაქის	521	+29	27	63	+5
ახალციხის	481

23 მაისი

უკანასკნელი

ფაქტები მოვლენები ადამიანები

საკლასო იუმორი

ქართული ხელოვნების მსოფლიო აღიარება

მუშაობა დაიწყო IV საერთაშორისო სიმპოზიუმმა

დღეს ძნელია იმის თქმა, იცოდნენ თუ არა 1974 წელს იტალიის ქალაქ ბერგამოში შეკნეერთა პირველი ამგვარი შეხვედრის თაოსნებმა, რომ იდგნენ კეთილი ტრადიციის სათავეებთან. ცხადია ერთი რამ — მათი გადადებული ინტერესი საქართველოს ძველი ეროვნული ხელოვნებისადმი სავსებით დასაბუთებული იყო — მსოფლიო მეცნიერებამ ხელოვნების შესახებ იმ ეტაპს მიაღწია, როცა ქართული კულტურის შეუსწავლელად ძნელდებოდა და სრული არ იყო ბევრი მეზობელი ქვეყნის ხელოვნების გენეზისისა და განვითარების გზების შესწავლა.

შესანიშნავად ესმოდათ რა ეს, მილანის პოლიტექნიკუმის პროფესორი ადრიანო ალპაგო ნოველო, ტურინელი მეცნიერი პოლო ვერძონი და ბერგამოს უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ყაუხჩიშვილი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა ყურადღება მიეპყროთ ქართული ხელოვნებისადმი.

თბილისის IV სიმპოზიუმზე ჩამოვიდნენ ავსტრიის, ბელგიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთის, იტალიის, რუმინეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიის, იუგოსლავიის მეცნიერთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები, ხოლო განსახილველი პრობლემების წრემ პრაქტიკულად მოიცვა ქართული ხელოვნების ყველა ეანრი, შეეხო მსოფლიოს სხვა ხალხების კულტურებთან მის კავშირს.

სიმპოზიუმში მონაწილეობს საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის, უკრაინის სს რესპუბლიკისა და ჩინეთ-ინგაუშეთის წამყვან სპეციალისტთა ჯგუფი.

სიმპოზიუმის მუშაობა დაიწყო იმით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოფენა. სიმპოზიუმის მონაწილენი დიდი ინტერესით გაეცნენ იმ მთელი რიგი ძეგლების ფოტომასალებს, მაკეტებს, სამუშაო ნახაზებს, რომლებსაც სიცოცხლე დაუბრუნეს ქართველმა რესტავრატორებმა.

შემდეგ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა სიმპოზიუმის გახსნის ცერემონია.

ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მის მონაწილეებსა და სტუმრებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია. დღეს, თქვა მან, დღესასწაულია ქართული ეროვნული ხელოვნებისა, რომელმაც ახალ მწვერვალებს მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში და მსოფლიო აღიარება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტების მზარდი ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი, უწინარეს ყოვლისა, მისი არაჩვეულებრივი სიმდიდრისა და მრავალფეროვნების შედეგია.

არ შეგვიძლია სიხარულით არ აღვნიშნოთ, რომ ქართული ხელოვნებისადმი ინტერესი არ ამოიწურება წარსულით — სიმპოზიუმის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალ, საბჭოთა ხელოვნებას. შემთხვევითი როდია, რომ ამჯერადაც ცალკეა გამოყოფილი დღევანდელი საქართველოს ხელოვნების საკითხთა სექცია.

იმედი გვაქვს, რომ ხელოვნების ისტორიკოს მეცნიერთა ეს ფორუმი კიდევ ერთი სასარგებლო ნაბიჯი გახდება არა მარტო საქართველოს ხელოვნების საკითხთა, არამედ კულტურების ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიქმედების, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ურთიერთგაგების გაღრმავებისა და განმტკიცების პრობლემათა სწორი გაშუქების საქმეში.

საბჭოთა საქართველოს მთავრობის სახელით ო. ჩერქეზიამ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში შეეკრიბნენ, წარმატებანი უსურვა მუშაობაში.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ოყუჯავა.

პლენარულ სხდომაზე მოხსენება — „გარდამავალი პერიოდის ქართული არქიტექტურა" — გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ, შუა საუკუნეების ქართული მინიატურული ფერწერის განვითარების ეტაპებს მიუძღვნა მოხსენება ამავე ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ალიბეგაშვილმა.

ამავე დღეს გაიმართა სექციური მეცადინეობანი პრობლემებზე „წინაქრისტიანული ხანის კულტურა და ხელოვნება", „შუა საუკუნეების არქიტექტურა", „შუა საუკუნეების ფერწერა", „შუა საუკუნეების ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნება", „ახალი და საბჭოთა ხელოვნება", „ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საკითხები". საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მოხსენებები წაიკითხეს იტალიის, ბელგიის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

საღამოს სიმპოზიუმის მონაწილეებისათვის გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტში. (საქინფორმი).

უშიშროების საბჭოში

მკაცრად გააკრიტიკეს

ნიუ-იორკი. ისრაელის ექსპანსიონისტური პოლიტიკა და შეერთებული შტატების მიერ თელ-ავივის აგრესიული კურსის მხარდაჭერა მკაცრად გააკრიტიკეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე. საბჭო მოიწვიეს არაბული ქვეყნების თხოვნით პალესტინელთა წინააღმდეგ ისრაელის რეპრესიების ესკალაციასთან და თელ-ავივის იმ ცდებთან დაკავშირებით, რომ გაამარადისოს მიტაცებული არაბული ტერიტორიების ოკუპაცია.

● ინგლისი

მოუფიქრებელი მტკიცებები

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა მკაცრად გააკრიტიკა ქვეყნის მახობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც მ. ტეტჩერის კაბინეტმა გაიხადა. ლონდონში წინასაარჩევნო მიტინგზე გამოსულისას მან „აშკარად მოუფიქრებელი" უწოდა კონსერვატორთა ახლანდელი კაბინეტის წარმომადგენლთა მტკიცებებს, რომ თითქოს ბირთვული განიარაღების მომხრეთა მოძრაობა შედგება „მეშარცხენა ექსტრემისტებისა" და „პოლიტიკურად ბეცი ადამიანებისაგან".

ის ინგლისელები, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ დიდმა ბრიტანეთმა კონკრეტული ნაბიჯები გადადგას ბირთვული განიარაღების დარგში, თქვა, ჰიტმა, გულწრფელად არიან შეწუხებული თავიანთი ბავშვების მომავლის გამო. მან უარზო მონაპორი უწოდა იმას, რომ გამალებული შეიარაღების მოწინააღმდეგეებს გამოსვლებისათვის „წითლები" აქეზებენ.

● ავსტრალია

შეიპყრეს დუშმანები

ქაბული. უშიშროების ძალებმა მოსახლეობის დახმარებით კიდევ ორი კონტრრევოლუციური ბანდა მოხვეს ავღანეთის კუნძულის და ქაბულის პროვინციებში. ეცხოური წარმოების იარაღით შეიარაღებული ბანდიტები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ, ცდილობდნენ ტერორისტული აქციების განხორციელებას ამ პროვინციებში. დაპატიმრებული დუშმანები საგამოძიებო ორგანოებს გადასცეს.

საჰაერო ინციდენტი

ბერლინი. 21 მაისს ერთძრავიანი თვითმფრინავი, რომელიც ნორდჰალდენდან (აფრ) აფრინდა, უკანონოდ შეიჭრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ჰერიბ ოლქის რაიონში. როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, მიუხედავად იმისა, რომ დამრღვევი გაფრთხილეს დამჯდარიყო, იგი პროვოკაციულ ფრენას განაგრძობდა სხვისი ტერიტორიის თავზე და შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე დასტოვა. მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო თავდაცვის ძალების აუჩქარებელი მოქმედების მეოხებით ახალ დარღვევას არ მოჰყოლია მძიმე შედეგები, აღნიშნავს საგენტო.

ამერიკელი მტკიცებენი

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა მკაცრად გააკრიტიკა ქვეყნის მახობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც მ. ტეტჩერის კაბინეტმა გაიხადა. ლონდონში წინასაარჩევნო მიტინგზე გამოსულისას მან „აშკარად მოუფიქრებელი" უწოდა კონსერვატორთა ახლანდელი კაბინეტის წარმომადგენლთა მტკიცებებს, რომ თითქოს ბირთვული განიარაღების მომხრეთა მოძრაობა შედგება „მეშარცხენა ექსტრემისტებისა" და „პოლიტიკურად ბეცი ადამიანებისაგან".

ის ინგლისელები, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ დიდმა ბრიტანეთმა კონკრეტული ნაბიჯები გადადგას ბირთვული განიარაღების დარგში, თქვა, ჰიტმა, გულწრფელად არიან შეწუხებული თავიანთი ბავშვების მომავლის გამო. მან უარზო მონაპორი უწოდა იმას, რომ გამალებული შეიარაღების მოწინააღმდეგეებს გამოსვლებისათვის „წითლები" აქეზებენ.

სამშვიდობო მანიფესტაცია

ჰელსინკი. ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, განიარაღებისათვის ბრძოლას მიეძღვნა ფინეთის მშვიდობის მომხრეთა აქ დამთავრებული საგაზაფხულო კამპანია, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით „მშვიდობისა და იმედის გაზაფხული". კამპანიის ფარგლებში გაიმართა კონცერტები, შეხვედრები, სემინარები და დემონსტრაციები, რომელთა მოწყობის ინიციატორები იყვნენ „ფინეთის მშვიდობის მომხრენი", ფინეთის ჟურნალისტთა მშვიდობის კომიტეტი, ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები.

მთავარი მოვლენა გახდა კვირას გამართული მასობრივი მანიფესტაცია, რომელშიც 30 ათასზე მეტი. კაცი მონაწილეობდა. მისი მონაწილეების სახელით კამპანიის „მშვიდობისა და იმედის გაზაფხულის" საორგანიზაციო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნების მთავრობებსა და ხალხებს გაიერთიანონ მეცადინეობა განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

„ნუ დავიწყებთ გამალებულ შეიარაღებას იქ, სადაც იგი არ ყოფილა. შევწყვიტოთ იგი იქ, სადაც ახლა არის" — ჟურნალ „შპიგელის" კითხვებზე გაცემულ პასუხში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წამოყენებული ეს წინადადება დასავლეთის ბევრ მიმომხილველთა სპეციალური კომენტარის თემად იქცა. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკითხი ეხება უაღრესად ძვირფასი ღირებულ და საშიშ გამალებულ შეიარაღებას ახალ სფეროში — კოსმოსში. მაშინ, როდესაც გამალებუმმა შეიარაღებამ უკვე მოიცვა პაერი, დედამიწა, ზღვები და თვით მიწისქვეშეთიც, კოსმოსი რჩება ერთადერთ ჯერჯერობით ნაკლებად მილიტარიზებულ სფეროდ. მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის ტემპი სულ მოკლე დროში პრაქტიკულად შესაძლებელს გახდის კოსმოსის სრულ მილიტარიზაციას, თუ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები დაუყოვნებლივ არ განაბორკილებენ ქმედითს ღონისძიებებს მშვიდობიანი კოსმოსის შესანარჩუნებლად.

კოსმოსის მილიტარიზაციის მომხრენი საკითხს უკვე გადაწყვეტილად მიიჩნევენ და მძლავრ არგუმენტად თვით ისტორიასაც კი ამტკიცებენ: „ისტორია გვასწავლის, რომ ყოველთვის, როცა ადამიანისათვის ხელმისაწვდომი ხდება ახალი გარემო, იგი მას სამხედრო უპირატესობის მოპოვებისათვის იყენებს. მრავალჯერ შეუცვლია ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა იმ ქვეყანას, რომელიც პირველი ჩასწვდომია ახალი გარემოს სამხედრო პოტენციალის უპირატესობის არსს" — ამტკიცებს ამერიკელი ისტორიკოსი ტოლბოტი. რა არის ეს? ცინიზმი, მწარე სინამდვილე თუ ორივე ერთად? ისეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: დღეს კოსმოსით ამერიკას ისეთი გაკვლენიანი და საშიში წრეები დაინტერესდნენ, რომ მის გადასარჩენად ბრძოლა ძნელი და ხანგრძლივი იქნება. ამტკიცებენ აღნიშნა ამერიკელ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფის მმართველმა პასუხში ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა: „ახლა ნამდვილად დგება გადამწყვეტი მომენტი: ან დაინტერესებული სახელმწიფოები დაუყოვნებლივ მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას და ხელს მოაკიდებენ კოსმოსურ სივრცეში ყოველგვარი სახეობის იარაღის განლაგების ამკრძალავი ხელშეკრულების შემუშავებას, ან გამალებული შეიარაღება კოსმოსსაც მოედება". ამავე აზრისაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კუელიარიც, რომელიც აცხადებს, „დრო გვაქვს, მაგრამ ძალზე ცოტაო".

მართალია, კოსმოსის მილიტარიზაციის „უნივერსალური" პროექტის ავტორად პრეზიდენტი რეიგანი მოგვეკონა, მაგრამ ისიც უნდა თქვას, რომ არც წინანდელ ადმინისტრაციებს „დაუკარგავთ დრო უქმად"; 80-იანი წლების დამდეგისათვის პენტაგონს უკვე „ემსახურებოდა" 40-ზე მეტი ხელოვნური თანამგზავრი, რომელთა მთავარი დანიშნულება ჯაშუშური ცნობების შეგროვება იყო. სულ კი, 70-იანი წლებიდან მოყოლებული 800-ზე მეტი სამხედრო დანიშნულების თანამგზავრი გაუშვა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამერიკის რვა უდიდესი აეროკოსმოსური კომპანია პენტაგონის ფულით ფართომასშტაბიან კვლევითს სამუშაოებს ეწევა სამხედრო მიზნით დიდი ორბიტული კოსმოსური სადგურების გამოსაყენებლად.

თვალში საცემია ერთი დამახასიათებელი კანონზომიერება: როგორც კი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ახალი „ეგზოტიკური" იარაღის რეკლამას იწყებს, საქმეში ებმება პროპაგანდის მძლავრი ინდუსტრია; ცნობილი ფუტუროლოგი, ჰუდსნის ინსტიტუტის დირექტორი კანი იმასაც კი ამტკიცებს, რომ კოსმოსის მილიტარიზაციას, საბოლოო ანგარიშით, სიკეთე მოჰყვება კაცობრიობისათვის, ვინაიდან შესაძლებელი გახდება „წმინდა ომის" წარმოება სწორედ კოსმოსში. დედამიწაზე წარმოშობილ კრიზისს სამხედრო გაგრძელება უნდა მოჰყვეს კოსმოსში ლაზერებისა და თანამგზავრსაწინააღმდეგო საშუალებათა დეულის სახით. რით არ სჯობია ეს გამაჩანაგებელ ომს დედამიწაზე? ამიტომ, თურმე კოსმოსში გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ კი არ უნდა ვიბრძოლოთ, არამედ ყოველმხრივ უნდა შევეწყოთ მას ხელი (?!).

კოსმოსის მილიტარიზაციის პენტაგონისეულ გეგმებში უკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს „მატლის" სერიის მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურმა ხომალდებმა. უახლოესი ათი წლის მანძილზე ამ სერიის ხომალდთა 100 სტარტი დაისაკუთრა სამხედრო უწყებამ. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, „კოლუმბიის" მესამე საცდელი ფრენის პერიოდში აპრობირებულ იქნა მანიპულატორი, რომლის მეშვეობითაც „მატლის" სერიის ხომალდები კოსმოსში აიტანენ სამხედრო თანამგზავრებს. „მატლისადმი" ამერიკელ სამხედროთა მზარდ ინტერესს მოწმობს აგრეთვე ასგნებათა მოცულობა და პენტაგონის მეხიდრო კავშირი პროექტებე მომუშავე მეცნიერებთან.

1983 წელს ფედერალური ბიუჯეტით კოსმოსის კვლევისათვის გამოყოფილი 6,6 მილიარდი დოლარის ნახევარზე მეტი „მატლის" პროგრამაზე მოდის.

და მაინც, ყოველივე ეს პენტაგონს საკმარისად არ მიაჩნია და სურს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს კოსმოსის ათვისების მთელი გეგმები. სამხედრო სტრატეგებს საჭიროდ მიაჩნიათ სპეციალური სადგურების შექმნა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე, რომლებიც ძირითად როლს შეასრულებენ კოსმოსში სამხედრო ოპერაციების დროს.

ბოლო ხანს მკვეთრად გააქტიურდა მუშაობა ეგრეთ წოდებული „თანამგზავრ-მკვლელების" შესაქმნელი. „ნუ დავიწყებთ" ამ ფაქტს, „ცოცხალთა გადარჩენაზე ვზრუნავდეთ, და არა დახოცილთათვის შურისძიებაზე", ან ვინ იტყვის უარს თავდაცვითს სისტემაზე, თუკი იგი მართლაც „ახალი იმედია ჩვენი შვილებისათვის ოცდამეერთე საუკუნეში?". რა იმალება ამ ლამაზი და მიმზიდველი ფრაზების შიგნით? სპეციალისტთა ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ეს ნიშნავს უპასუხო პირველი დარტყმისადმი სწრაფვას, ხოლო უფრო გასაგებ ენაზე — ბირთვული ომისათვის მზადებას. თურმე საკმარისია ამერიკამ საიდუმლოდ დაიცვას თავი საბჭოთა რაკეტებისაგან და საომარ მოქმედებათა საუკუნის უპირველესი პრობლემა — ბირთვული კატასტროფის საფრთხე. როგორ? სულ უბრალოდ. საკმარისია ბრძოლ ენდო ამერიკის პრეზიდენტს — „შეერთებული შტატები არასოდეს იწყებს ომებს, ჩვენ არასოდეს ვიქნებით აგრესორები". „ურმუნო თომა" ალბათ ირონიულად გაიღიმებს და პრეზიდენტს კორეას, ვიეტნამს, ავღანეთს, კუბას, სალვადორსა და ნიკარაგუას შეახსენებს, მაგრამ ყველაფერი ეს ხომ „მოსკოვის პროპაგანდის მიერ არის გამოგონილი". მოდი და, ნუ დაუჯერებ ასეთ „დასაბუთებულ" მსჯელობას.

ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში ხშირად ხმაობენ გამოთქმას „შეკავების კონცეფციას". არც ჩვენ ვართ მისი მოწინააღმ-

ვაშინგტონის სახიფათო პოკერი

მნელად. ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ დაიწყო კვლევითი სამუშაოები „სიენტის" საიდუმლო პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს მოწინააღმდეგის თანამგზავრთა გამანადგურებელი მოწყობილობის შექმნას. პრაქტიკულად ეს იქნება იგივე ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც თხევადი ლითონის შეფრქვევით მწყობრიდან გამოიყვანს მეორე მხარის კოსმოსურ ობიექტებს (თხევადი ლითონი სწრაფად გამკვრივდება თანამგზავრის კორპუსზე და მოშლის მის საორიენტაციო და სანავიგაციო მექანიზმს).

ლაზერული იარაღის მძლავრ არსენალად კოსმოსის გადაქცევის იდეას უკვე ქვეყნის მთავარ სანახმდებლო ორგანოში — სენატშიც გაუჩნდა გავლენიანი ლობი. სენატორი უოლოპი გასული წლიდან მოითხოვს ლაზერულ იარაღზე სამუშაოდ „მანჰეტენის" მსგავსი პროექტის შექმნას (ასეთი კოდური სახელწოდებით მიმდინარეობდა ამერიკაში სამუშაოები პირველი ატომური ბომბის შესაქმნელად), ვინაიდან ესეც, ისევე როგორც „მანჰეტენი", ამერიკის გლობალური ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ამერიკის პრესაში უკვე იმის თაობაზეც გამოჩნდა ცნობები, რომ სეიროზულად განიხილავენ „მექსის" რაკეტების კოსმოსში ბაზირების საკითხს. კერძოდ, რაკეტმშენებლობის კომპანიებთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ინსტიტუტმა „აირინგ რესერჩმა" სამხედრო-საჰაერო ძალთა ხელმძღვანელობას უკვე წარუდგინა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე „მექსის" განლაგების პროექტი. ინსტიტუტს შესაძლებლად მიაჩნია რაკეტების განლაგება კოსმოსურ სივრცეში, საიდანაც ისინი დარტყმას მიაყენებენ მოწინააღმდეგის (ესე იგი საბჭოთა კავშირი) სამრეწველო და სამხედრო ობიექტებს. ჯერჯერობით ლაპარაკია 100 რაკეტაზე.

ყოველივე ზემოხსენებული წინ უძღოდა პრეზიდენტის მიერ 23 მარტს გამოქვეყნებულ პროგრამას. ასე რომ, ეს სულაც არ არის ცარიელ ადგილზე აღმოცენებული არარეალური ილუზია, როგორც დღეს ამერიკელ მმომხილველთა ერთი ნაწილი წარმოგვიდგენს რეიგანის გეგმას. ისე კი, ადამიანი, რომლისთვისაც უცნობია კოსმოსის მილიტარიზაციის მრავალწლიანი პროექტები და ბრაქტიკული ღონისძიებანი, ადვილად შეიძლება მოექცეს მჭევრმეტყველი პრეზიდენტის რიტორიკის ტყვეობაში. მართლაც, ერთი შეხედვით, განა არა სჯობს „ცოცხალთა გადარჩენაზე ვზრუნავდეთ, და არა დახოცილთათვის შურისძიებაზე", ან ვინ იტყვის უარს თავდაცვითს სისტემაზე, თუკი იგი მართლაც „ახალი იმედია ჩვენი შვილებისათვის ოცდამეერთე საუკუნეში?". რა იმალება ამ ლამაზი და მიმზიდველი ფრაზების შიგნით? სპეციალისტთა ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ეს ნიშნავს უპასუხო პირველი დარტყმისადმი სწრაფვას, ხოლო უფრო გასაგებ ენაზე — ბირთვული ომისათვის მზადებას. თურმე საკმარისია ამერიკამ საიდუმლოდ დაიცვას თავი საბჭოთა რაკეტებისაგან და საომარ მოქმედებათა საუკუნის უპირველესი პრობლემა — ბირთვული კატასტროფის საფრთხე. როგორ? სულ უბრალოდ. საკმარისია ბრძოლ ენდო ამერიკის პრეზიდენტს — „შეერთებული შტატები არასოდეს იწყებს ომებს, ჩვენ არასოდეს ვიქნებით აგრესორები". „ურმუნო თომა" ალბათ ირონიულად გაიღიმებს და პრეზიდენტს კორეას, ვიეტნამს, ავღანეთს, კუბას, სალვადორსა და ნიკარაგუას შეახსენებს, მაგრამ ყველაფერი ეს ხომ „მოსკოვის პროპაგანდის მიერ არის გამოგონილი". მოდი და, ნუ დაუჯერებ ასეთ „დასაბუთებულ" მსჯელობას.

ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში ხშირად ხმაობენ გამოთქმას „შეკავების კონცეფციას". არც ჩვენ ვართ მისი მოწინააღმ-

ᲣᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ IV ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘᲡ

ᲓᲦᲔᲡ ძნელია იმის თქმა, იცოდნენ თუ არა 1974 წელს იტალიის ქალაქ ბერგამოში შეკნეერთა პირველი ამგვარი შეხვედრის თაოსნებმა, რომ იდგნენ კეთილი ტრადიციის სათავეებთან. ცხადია ერთი რამ — მათი გადადებული ინტერესი საქართველოს ძველი ეროვნული ხელოვნებისადმი სავსებით დასაბუთებული იყო — მსოფლიო მეცნიერებამ ხელოვნების შესახებ იმ ეტაპს მიაღწია, როცა ქართული კულტურის შეუსწავლელად ძნელდებოდა და სრული არ იყო ბევრი მეზობელი ქვეყნის ხელოვნების გენეზისისა და განვითარების გზების შესწავლა.

შესანიშნავად ესმოდათ რა ეს, მილანის პოლიტექნიკუმის პროფესორი ადრიანო ალპაგო ნოველო, ტურინელი მეცნიერი პოლო ვერძონი და ბერგამოს უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ყაუხჩიშვილი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა ყურადღება მიეპყროთ ქართული ხელოვნებისადმი.

თბილისის IV სიმპოზიუმზე ჩამოვიდნენ ავსტრიის, ბელგიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთის, იტალიის, რუმინეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიის, იუგოსლავიის მეცნიერთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები, ხოლო განსახილველი პრობლემების წრემ პრაქტიკულად მოიცვა ქართული ხელოვნების ყველა ეანრი, შეეხო მსოფლიოს სხვა ხალხების კულტურებთან მის კავშირს.

სიმპოზიუმში მონაწილეობს საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის, უკრაინის სს რესპუბლიკისა და ჩინეთ-ინგაუშეთის წამყვან სპეციალისტთა ჯგუფი.

სიმპოზიუმის მუშაობა დაიწყო იმით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოფენა. სიმპოზიუმის მონაწილენი დიდი ინტერესით გაეცნენ იმ მთელი რიგი ძეგლების ფოტომასალებს, მაკეტებს, სამუშაო ნახაზებს, რომლებსაც სიცოცხლე დაუბრუნეს ქართველმა რესტავრატორებმა.

შემდეგ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა სიმპოზიუმის გახსნის ცერემონია.

ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მის მონაწილეებსა და სტუმრებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია. დღეს, თქვა მან, დღესასწაულია ქართული ეროვნული ხელოვნებისა, რომელმაც ახალ მწვერვალებს მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში და მსოფლიო აღიარება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტების მზარდი ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი, უწინარეს ყოვლისა, მისი არაჩვეულებრივი სიმდიდრისა და მრავალფეროვნების შედეგია.

არ შეგვიძლია სიხარულით არ აღვნიშნოთ, რომ ქართული ხელოვნებისადმი ინტერესი არ ამოიწურება წარსულით — სიმპოზიუმის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალ, საბჭოთა ხელოვნებას. შემთხვევითი როდია, რომ ამჯერადაც ცალკეა გამოყოფილი დღევანდელი საქართველოს ხელოვნების საკითხთა სექცია.

იმედი გვაქვს, რომ ხელოვნების ისტორიკოს მეცნიერთა ეს ფორუმი კიდევ ერთი სასარგებლო ნაბიჯი გახდება არა მარტო საქართველოს ხელოვნების საკითხთა, არამედ კულტურების ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიქმედების, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ურთიერთგაგების გაღრმავებისა და განმტკიცების პრობლემათა სწორი გაშუქების საქმეში.

საბჭოთა საქართველოს მთავრობის სახელით ო. ჩერქეზიამ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში შეეკრიბნენ, წარმატებანი უსურვა მუშაობაში.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ოყუჯავა.

პლენარულ სხდომაზე მოხსენება — „გარდამავალი პერიოდის ქართული არქიტექტურა" — გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ, შუა საუკუნეების ქართული მინიატურული ფერწერის განვითარების ეტაპებს მიუძღვნა მოხსენება ამავე ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ალიბეგაშვილმა.

ამავე დღეს გაიმართა სექციური მეცადინეობანი პრობლემებზე „წინაქრისტიანული ხანის კულტურა და ხელოვნება", „შუა საუკუნეების არქიტექტურა", „შუა საუკუნეების ფერწერა", „შუა საუკუნეების ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნება", „ახალი და საბჭოთა ხელოვნება", „ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საკითხები". საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მოხსენებები წაიკითხეს იტალიის, ბელგიის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

საღამოს სიმპოზიუმის მონაწილეებისათვის გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტში. (საქინფორმი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე დავითის ძე **ჩიკვაიძე** დანიშნა სსრ კავშირის საგარეგნო და სრულუფლებიან ელჩად კენიის რესპუბლიკაში.

• • •

ამხ. ალექსანდრე დავითის ძე ჩიკვაიძე, დაბადებული 1932 წელს, ქართველი, სკკპ წევრი 1958 წლიდან, უმაღლესი განათლებით — დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ამხ. ა. დ. ჩიკვაიძემ განვლო დიდი გზა კომკავშირული, პარტიული, სახელმწიფო, დიპლომატიური მუშაობისა, იყო მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ლაბორანტი, საქართველოში ჩამოსკლის შემდეგ ირჩევენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ, კომკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის განყოფ





ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სახალხო დღესასწაულები ლაგოდეხში, ბათუმსა და ცაგერში.
ე. ეგინოვის, ნ. ანასტასიევისა და გ. ᲑᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡ ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲫᲛᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲒᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

დი საბალხო დღესასწაული — „ბათუმი ძმობისა და მეგობრობის ქალაქი“.

ამ დიდ ზეიმზე ბათუმს ეწვივნენ მასთან დაძმობილებული ქალაქების ხერსონის, მახაჩყალის, ქიროვაკანისა და სოხუმის მშრომელთა დელეგაციები.

ზეიმი იწყება თეატრალიზებული სანახაობით ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში, საიდანაც დღესასწაულის მონაწილენი საზეიმოდ მორთულ სტალინის სახელობის პროსპექტისაკენ მიემართებიან. თვალს ახარებს აჭარისათვის დამახასიათებელი ეგზოტიკური კუთხეები და ყვავილნარები. აქვე, მიმდინარეობს ხალხური სიმღერისა და ცეკვის II რესპუბლიკური ფესტივალი. მასპინძლებთან ერთად, სახელდახელო სცენებზე ერთმანეთს ცვლიან ლენინგრადის ოლქის, ესტონეთის, დაღესტნის, მოლდავეთისა და სსრ კავშირის სხვა რეგიონების თვითმოქმედი კოლექტივები.

დღესასწაული ზღვისპირა კულტურისა და დასვენების პარკში გრძელდება. სწორედ აქ მუსიკალურ შადრევნებთან იმართება ზეიმის დასკვნითი ნაწილი.

მიტინგს ხსნის სახალხო დეპუტატთა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ემირიძე.

ზეიმს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანდრონიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური.

რაიონის ცხოვრებაში დიდ მოვლენად იქცა ცაგერში ესთეტიკური აღზრდის ცენტრის, „მწვანე თეატრისა“ და დიდების მუზეუმის, სოფელ სპათაგორში კი სსრ კავშირის საინჟინრო ჯარების მარშლის არჩილ გელოვანის სახლ-მუზეუმისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ცენტრის გახსნა. სახეიმო მიტინგი გახსნა პარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. მხეიძემ.

ზეიმს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. საჯაია, რესპუბლიკის სამხედრო კომისარი ლ. შარაშენიძე, მწერალი გრ. აბაშიძე, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი მ. დრუჟინინი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელები, სტუმრები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან.

ᲡᲢᲘᲥᲘᲐ ᲒᲐᲛᲥᲕᲘᲜᲕᲐᲠᲓᲐ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. 23 მაისი. (საქინფორმის კორ.). აქ დიდხანს გვალვა იდგა. ზამთარშიც კი მიწათმოქმედები ვენახებს რწყავდნენ, წლის უხვი მოსავლისათვის იბრძოდნენ. და უცბათ კოკისპირული წვიმა და სეტყვა დაატყდა თავს კახეთს. განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდა გურჯაანის რაიონს. სეტყვისაგან დაზიანდა ათასობით ჰექტარი ზვრები და სანახაობით ხორბლის ნათესები გურჯაანის, კარდანახის მეგვენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, ვეჯნინის სახელმწიფო სასათბურე მეურნეობაში, ვახისუბნის, ჩუმლაყის კოლმეურნეობებში. ბევრ ადგილას მოსავალი მთლიანად დაიღუპა.

როგორც ზონალურ მეტეოროლოგიურ სადგურში გვაცნობეს, გაზაფხულზე ამინდის ასეთი ანომალია არ ყოფილა უკანასკნელი 80 წლის მანძილზე. მდინარეები ადიდდა და დაიტბორა მინდვრები, წალეკლია ხიდები, ბევრ სოფელთან მიმოსვლა შეწყდა.

პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. სინჯიაშვილმა თქვა:

— გურჯაანში, გამოუკლებლივ ყველა გამოვიდა სტიქიის შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად. მეურნეობებში შეიქმნა საგანგებო კომისიები. რაიონულ შტაბში მოდის ცნობები, რომ სოფლის მშრომელები განსაკუთრებული გულმოდგინებით ამუშავებენ ვენახებს, ვაზს შაბიამნის ხსნარით წამლავენ, რათა ხელი შეუშალონ მავნებლების გავრცელებას.

ავტომანქანებით, მძლავრი ტრაქტორებით, ყველგანმავლ ებით მოსახლეობისათვის სურსათი მოაქვთ. ყოველ ღონეს ხმარობენ საკვებით ფერმების მოსამარაგებლად.

სტიქიამ ზარალი მიაყენა აგრეთვე საგარეჯოს, სიღნაღის, თელავისა და სხვა რაიონების მეურნეობებს.

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘ

880096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ — 99-22-93, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲙᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲘᲗᲘᲡ — 99-05-29, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲫᲦᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 202-94-92; ᲡᲝᲩᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ — 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘ — 6-34-44; ᲧᲝᲚᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 39-55; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 12-09; ᲧᲘᲗᲘᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲫᲣᲯᲣᲚᲘ — 25-82.

ᲖᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲮᲛᲝᲑᲡ!

ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲥᲪᲔᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ

ᲐᲛ სამი წლის წინათ, 1980 წლის შემოდგომაზე, აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე ერთმა ვიღაც თავზეხელაღებულმა ორი კაცი მოკლა და მესამეც ბეწვზე გადაურჩა მის ტყვიას, ეს მან თითქმის სრულიად უმიზეზოდ ჩაიდინა: გზატკეცილის წამხდარი უბნის ვიწრო გასასვლელში მსუბუქი მანქანით მიმავალი, შემხვედრი მანქანის მეზავრეს აუხარდა, როგორ თუ გაბედეთ და გზა არ დამითმეთო, და იარაღი იძრო...

მკვლელი თუმცა გაიქცა და მიიმალა, მისი ვინაობა იმთავითვე ცნობილი დაგიდა. იგი აღმოჩნდა საპყრობილედან გაქცეული ავაზაკი და რეციდივისტი დიმიტრი იასონის ძე ხურცილავა.

ასეთი ბოროტმოქმედი, რომელსაც დანაშაულის ყველა ზღვარი გადალახული აქვს და თვით ადამიანის სიცოცხლეც ჩალად არ ეღირს, მეტად სახიფათო და საშიშია. იგი დაუყოვნებლივ უნდა შეიპყრო, თორემ მისგან ყოველ წუთს ახალ-ახალი დანაშაულია მოსალოდნელი.

მაშინვე გამოცხადდა საკავშირო ძებნა, მაგრამ ხურცილავას დაპერა გაძნელდა, უკვე მესამე წელი იწურებოდა და ვერა და ვერა, ბოროტმოქმედი ვერ მოიხელთეს.

და, აი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში ოპერატიული ცნობა მოვიდა: დ. ხურცილავა, ვიღაც მეორე შეიარაღებულ ბანდიტთან ერთად, სოხუმის მახლობლად, გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარაში იმალებაო.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გურამ გვეტაძემ დაუყოვნებლივ შექმნა შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებდა ბანდიტების შესაპყრობად საჭირო ყველა ოპერაციას. შტაბში გაერთიანდნენ მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ვარლამ შადური, მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი გივი კვანტალიანი, აფხაზეთის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლკოვნიკი მიზეილ ჩულკოვი. ვ. შადური და გ. კვანტალიანი იმავე დღეს გაემგზავრნენ აფხაზეთში.

ახლა მთავარი იყო ოპერატიული მოქმედება, რომ ბოროტმოქმედი კვლავ არ გასხლტომოდათ ხელიდან. უწინარეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ უნდა შემოწმებულიყო, რამდენად სანდო და სარწმუნო იყო. ცნობა დანაშავეთა ადგილსამყოფლის შესახებ, უნდა დაედგინათ, ვინ იყო ის მეორე ბანდიტი, ხურცილავამ რომ გაიამბანგა, გასარკვევი იყო ისიც, ვინ იყო ის კაცი — მასპინძელი, რომლის სახლში ბანდიტებმა დაიდეს ბინა.

ყველაფერი ეს უმოკლეს ვადაში უნდა გაეგოთ და დაეზუსტებინათ, თანაც ისე, რომ უმკაცრესად დაეცვათ საიდუმლობა, რათა არ დაეფრთხოთ ბოროტმოქმედნი — სავარაუდო და გასათვალისწინებელი იყო, რომ ბანდიტებსაც ექნებოდათ საკუთარი ინფორმაცია, ამიტომ მათთვის კვალის ასაბნევად თბილისიდან მინისტრის მოადგილეების ჩამოსვლას სულ სხვა სარჩელი დაუდეს და სხვა, მოგონილი საქმე და საზრუნავი დაუსახეს.

რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში არც შტაბის წევრებს და არც ოპერაციის სხვა მონაწილეთ წესიერად არ უძინიათ, გაუხდელად, ზეზეურად წოთვლემდნენ, და მერე კვლავ საქმეს მიაშურებდნენ. საგანგებოდ შერჩეული სათვალთვალო პუნქტიდან დღის-ითაც და ღამითაც სპეციალური აპარატურით თვალს ადევნებდნენ ბოროტმოქმედთა ყოველ ნაბიჯს, უღებდნენ ფოტოსურათებს, უკვირდებოდნენ მათს მოქმედებას, ჩვეულს, მანერებს.

ბოლოს, როდესაც ყველაფერი დაადგინეს, დაეზუსტეს და აწონ-დაწონეს, ნათელი გახდა, რომ ამოცანა ერთობ სერიოზული იყო და ფრიად სახიფათოც. საქმე ჰქონდათ მეტად საშიშ, ვერაგ, ხიფათთან შესახვედრად საგანგებოდ მომზადებულ ბანდიტებთან, რომლებიც არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდნენ. არც ჰქონდათ მათ უკან დასახევი. იმ მეორესაც, ხურცილავას რომ შეერთებოდა, ისეთი ძმიე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რომლის უმაღლესი არც დანაშაული არსებობს და არც ამ დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელი. ეს იყო აზრეტ-ალი გედიევი, ყარაჩაი-ჩერკასის ავტონომიური ოლქის მკვიდრი, ასაკოვანი კაცი, ყველაფერზე ხელის მომწერი — მკვლელი, ყაჩაღი, ქურდი. სამ წელზე მეტია ამ კაცის საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული, ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, ყაჩაღურად რომ დაესხა თავს სოფლის სკოლას, სადაც ორთითონ სწავლობდა და იზრდებოდა, ექვმით სიკვდილის პირზე მიიყვანა მოხუცი დარაჯი, გაიტაცა კალაშნიკოვის ტიპის ორი ავტომატი, ერთი სასწავლო შაშხანა და დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ცეცხლს მისცა სკოლა იმ იმედით, რომ დარაჯიც შიგვე გამოიწვებოდა, მაგრამ მოხუცი გადარჩა და ყველაფერი თქვა... ამის შემდეგ, პასუხისგებისათვის თავი რომ აერიდებინა, მილიციის მუშაკი მოკლა და, ვინ იცის, კიდევ რა დანაშაული არ ჩაიდინა. დამალვის მიზნით თავშესაფრის ძებნაში კავკასიონის ქედი გადმოსახა. აქ, უცხო მხარეში, სადაც მას არავინ იცნობდა ეტყობა, დევნილ და უბედურ ადამიანად დაუსახა თავი ზოგ გულუბრყვილო ადგილობრივ მცხოვრებს და კარგა ხანს საიმედოდ იმალებოდა. ბოლოს, ბედის თანაზიარობამ ხურცილავა პპოვნინა.

ამ დაწყვილებამ უფრო საშიში და მოუხელთებელი გახადა ისინი, ჯერ ერთი, ორი შეიარაღებული ბანდიტი მარტოხელასთან შედარებით ისედაც დიდი ძალაა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ერთად ყოფნამ ახალი იმედები და მიზნები გაუჩინა ბოროტმოქმედთ, ამიერიდან მათ საბოლოოდ აიღეს ხელი იმ აზრზე, რომ ნებაყოფლობით ჩაბარებოდნენ ხელისუფლებას და შეწყალება და შეღავათი ეთხოვათ მოსალოდნელი მძიმე სასჯელის გამო. გადაწყვიტეს ყაჩაღობით დიდძალი ფული დაეგროვებინათ და საზღვარგარეთ გაქცევაზე ეფიქრათ.

იქნებ სწორედ ამ მიზნით დაბინავდნენ ისინი სოხუმის მახლობლად. იქვე იყო აეროპორტიც და ნავსადგურიც, ხომალდები — საზღვაოც და საჰაეროც.

არა, იმ ადამიანებთან, რომლებსაც ასეთი ზარახვა და მიზანი ედოთ გულში, ხუმრობა არ შეიძლებოდა!

ახლა ბანდიტების მასპინძლის ამბავიც ვიკითხოთ: გურამ გიორგაძეს სოფელში იცნობდნენ როგორც ლოთსა და უსაქმურს, ქურდობისათვის ნასამართლევი იყო და ხურცილავასაც საპატიმროდან იცნობდა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში მისი პირადი თვისებები კი არა, ოჯახური მდგომარეობა იყო უფრო დამაფიქრებელი და თავსატეხი. მას ცოლი და ოთხი შვილი ჰყავდა. ამათგან ერთი საგალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა, დანარჩენები შინ იყვნენ და აქვე, მამის სახლში ცხოვრობდნენ, სადაც ბოროტმოქმედნი იყვნენ თავშეფარებულნი, როგორ, საიდან უნდა მისდგომოდი ბანდიტებს ისე, რომ ოჯახში საფრთხე არ შექმნილიყო?

ბოროტმოქმედნი ძალიან ფხიზლობდნენ, თავადვე გრძნობდნენ, რომ სოფელი მაჭარა ძებნილი კაცის დასამალავად მოსახერხებელი ადგილი არ იყო, მაგრამ რაკი განზრახულის აღსასრულებლად, უკეთესი გამოსავალი და არჩევანი ვერ გამონახეს, ახლა ათეკეცად გაფაცებულები იყვნენ, ყოველი ნაბიჯი წინასწარ ჰქონდათ გამოთვლილი და გამოზომილი, თუ რანაირად და რა გზით დაეღწიათ თავი განსაცდელისათვის საჭირო შემთხვევაში.

მასპინძლის — გურამ გიორგაძის სახლი თითქმის შუა სოფელში, მაღლობზე იდგა. ერთ მხარეს — სამხრეთ-დასავლეთით ხევი ჩაუდიოდა, აღმოსავლეთით, სახლიდან დაღმა ჩაფენილ ფერდობზე მანდარინის ბაღი იყო მომცრო ხევამდე. მარჯვე კაცი ხევს ფეხადგეხაც გაალწევდა, აღმართს ადვილად და ტყეს შეეფარებოდა. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, საიდანაც მეზობელი ესაზღვრებოდა, გზა შემოდიოდა ჩიხად ეზოკრამდე. ამ ჩიხის გარდა, სახლს სხვა მისასვლელი არ ჰქონდა. (ეს ყველაფერი შეისწავლა და საგანგებო რუკაზე გადაიტანა ოპერატიულმა ჯგუფმა). გარეშემო ნახევარ კილომეტრ სივრცეზე ხელის გულივით მოჩანდა ყველაფერი, ხევგაღმა სამასიოდე მეტრზე კოლმეურნეობის კახტორა იყო. ასე რომ, მოდარაჯე თვალს აქედან არც ერთი გამვლელ-გამომვლელი არ გამოეპარებოდა.

მარჯვედაც იყენებდნენ ამ ხელსაყრელ მდგომარეობას ბანდიტები: ყოველ წუთს დურბინდით ზვერავდნენ გარემოს და ყველა საეჭვო შემთხვევაში, ეზოში, მანდარინის ბაღში მოწყობილ-მოთადარიგებულ სამალავ გამოქვაბულს მიაშურებდნენ..

მაგრამ თავდასხმის მომლოდინე ბოროტმოქმედი მარტოოდენ თვალისა და ყურის, სამალავის იმედით არ დადგება. თუ საჭირო გახდა, აუცილებლად იარაღს გამოიყენებს და გაქცევით უშველის თავს, ხოლო იარაღს რაც შეეხება, ძებნილებს თავიანთ ბუნაგში, იარაღის მთელი არსენალი ჰქონდათ: ნაირ-ნაირი ავტომატები, შაშხანები, პისტოლეტები, ხელყუმბარები, ხანჯლები, დანები.

იარაღი იარაღია, მაგრამ მთავარი მაინც მისი მოხმარებაა და, როგორც ბანდიტებზე რამდენიმე დღის შორიდან დაკვირვებამ ცხადყო, ისინი ამ საქმის დიდი ოსტატები იყვნენ. და თან კვლავაც გამუდმებით ვარჯიშობდნენ და ოსტატდებოდნენ, ვარჯიშობდნენ სროლაში დამიზნებით და დაუმიზნებლად — საფარიდან ხელის გადაწვდენით, დანის ტყორცნაში პირდაპირ სამიზნე და საგანზე და საგანს დაუნახავად — ზურგს უკან. მიზანში სავარჯიშოდ იყენებდნენ მცირეყალიბიან შაშხანას და პისტოლეტებს, რომლებიც სროლისას ხმას არ გამოსცემდა. იმის ნათელსაყოფად, თუ რას ნიშნავს დაუმიზნებლად სროლა, გეტყვით, როგორ ვარჯიშობდნენ ისინი და დანარჩენს თვითონვე მიხვდებით: დადგებოდნენ ორნი ერთმანეთის მოშორებით, ერთი იარაღით, მეორე უიარაღოდ, ისე, რომ უიარაღო იარაღიანის მხედველობის არეში არ ყოფილიყო, უიარაღო შემოჭრავდა ტაშს და იმავე წამს ამ ხმაზე მეორეს მიზანში უნდა ამოეღო ამხანაგი და იმის კვალობაზე, ლულის პირი მისკენ ზუსტად იყო მიმვერილი თუ არა, იგი დაიძახებდა: „არის“, ან „ამცდა“.

ვარჯიშობდნენ ფიზიკურ მომზადებაშიც: სირბილში, ხეზე აცოცებაში, ციცაბოზე დაგორებით დაშვებაში, ალმართის დაძლევაში... მეტ სიმარჯვეს, სიმარდეს და სიჩაუქეს გედიევი ავლენდა. ის ხომ მთელი თხუთმეტი წლით უფროსი იყო ხურცილავაზე!

ბანდიტები დღისით თითქმის მუდამ შინ იყვნენ, სახლიდან დაღამების შემდეგ გამოდიოდნენ, ნაშუალამევს ბრუნდებოდნენ და იძინებდნენ.

აი თითქმის ყველაფერი ის, რაც შინაგან საქმეთა ორგანოებმა მუშაკებმა, რომლებსაც ბანდიტების შეპყრობა ჰქონდათ მინდობილი, იცოდნენ მათ შესახებ ჯერ კიდევ ოპერაციის დაწყებამდე და რის გათვალისწინებითაც შეადგინეს მოქმედების გეგმა.

ამოცანა რომ ერთობ რთული იყო, ამაში მკითხველი უკვე დარწმუნდებოდა, მაგრამ ყველაფერ ამას ისიც ემატებოდა, რომ არამც და არამც გეზი. ბოროტმოქმედთა ამოხოცვაზე არ უნდა აეღოთ, ცოცხლად შეეპყროთ ისინი და წარედგინათ მართლმსაჯულებისათვის. იმედი კი უმსხვერპლოდ ჩატარებული ოპერაციისა, აბავის შეიძლებოდა ჰქონოდა.

შტაბში ასე დადგწყვიტეს. ალყა შემოერტყათ სახლისათვის და წინადადება მიეცათ ბანდიტებისათვის, დანებებულიყვნენ.

აპრილის უმთავრო ღამე იყო. მაგრამ ცარსკვლავიანი ცა და ხეების მხრიდან ირეკლილი ქალაქის შუქი საკმაოდ კარგად ანათებდა სოფელს. თუმცა არა იმდენად, რომ თოფის სასროლ მანძილზე ლანდად მაინც გაგერჩია მოძრავი საგანი.

ოპერაცია ნაშუალამევს დაიწყო, იმის შემდეგ, როცა ბანდიტები ჩვეულებრივ ღამის რეიდიდან დაბრუნდნენ და დასაძინებლად დაწვნენ.

ალყა ორ წრედ შემოერტყა სახლს, დაახლოებით ორას-სამასი მეტრი რადიუსით. ახლა გათენებას უნდა დალოდებოდნენ, რადგან ღამით ასეთი გამოქცევილი ბანდიტები ყოველ ღონეს იხმარდნენ ალყისაგან თავდასაღწევად.

ეს საქმის ერთი გარემოება გახლდათ, მაგრამ გათენებისათვის დალოდება მარტო ამის გამო არ იყო საჭირო. ყველაზე ძნელი ეტაპი ამ ოპერაციაში მასპინძლების — გურამ გიორგაძისა და მისი ოჯახის წევრების სახლიდან გამოტყუება და ალყიდან გამოყვანა იყო. ეს კი, ცხადია, გათენებამდე ვერ მოხერხდებოდა.

ოპერაციის მონაწილეებმა იცოდნენ, რომ ყველაზე ადრე გიორგაძეების უფროსი ქალიშვილი გამოდიოდა სახლიდან, იგი სოხუმში მუშაობდა და დილაადრიან დგებოდა, რომ სამსახურში დროზე გამოცხადებულიყო, სამიოდე კილომეტრი, ფეხით უნდა გაევლო მთავარ გზატკეცილამდე, შემდეგ კი ავტობუსს გაჰყვებოდა ქალაქისაკენ.

საბედნიეროდ, იმ დღეს იგი ჩვეულებრივზე ადრე დაადგა გზას. მილიციის მუშაკებმა რომ გაიჩიეს და მათს ოჯახში დაბინავებულ „უცხო სტუმრებზე“ ჩამოუგდეს სიტყვა, იგი ჯერ შეცბა და დაიბნა, მერე კი ყველაფერი აღიარა.

გოგონა შეაჩერეს, სამსახურში არ გაუშვეს, ოჯახში კი მეზობლის პირით შეუთვალეს, თქვენი ქალიშვილი ცუდად გახდა, საავადმყოფოში წაიყვანეს და სასწრაფოდ მიეშველეთო. დედა და და-ძმები მაშინვე გამოცვივდნენ სახლიდან და სოხუმისკენ გაეშურნენ, მამა კი მთვრალი იყო, შვილის ამბავი არაფერად ჩაგდო, გადაბრუნდა და მეორე გვერდზე დაიძინა. სხვა რა გზა იყო, დატოვეს შინ, რომ მისძალებოდნენ, ვაითუ, ბანდიტებს ეშები აეღოთ.

ამასობაში გათენდა კიდეც. სპეციალური მანქანა ძრავის აუმუშავებლად უხმაუროდ დაადგორეს დაღმართზე და სახლის მახლობლად გაიჩერეს. ეს ისე მოხდა, სახლში არავის არაფერი გაუგია.

მანქანაში მსხდომნი მცირეხანს შეუყოვნდნენ, სახლი გარედან დაზვერეს და მერე მიკროფონით ხმამაღლა გამოუცხადეს ბანდიტებს: ალყაში ხართ. გიჯობთ დაგვნებდეთო.

ამას იმავე წუთს პასუხად სროლა მოჰყვა, ხმაზე ეტყობოდა, რევოლვერიდან ისროდნენ. მერე კი ამას ავტომატების ჯერი შეუნაცვლეს. რამდენიმე წუთში კი ისეთი ორმხრივი სროლა ატყდა, რომ ბრძოლის ველი გეგონებოდათ, სახლიდან სამნი ისროდნენ, ეტყობოდა, მასპინძელიც შეუერთდა ბანდიტებს.

მანქანიდან ხანგამოშვებით წყვეტდნენ სროლას და კვლავ კვლავ წინადადებას აძლევდნენ ბოროტმოქმედო, დაგვნებდითო, მაგრამ ამაოდ.

შეტაკება თანდათან საშიშ ხასიათს იღებდა. მალე ნათელი გახდა, რომ ბანდიტები თავგაწირვამდე იბრძოდნენ, არ დანებდებოდნენ. თან, მართლაც რომ, მარჯვე მსროლელები იყვნენ. მათ მალე აუღეს ალღო საქმის ვითარებას და ცდილობდნენ მანქანის ისეთ ადგილებში მოერტყათ, სადაც ტყვია უფრო გაატანდა და რამდენიმე ტყვია კიდეც მოახვედრეს მიზანში.

მოალუენი ახლა უკვე განუწყვეტლივ უშენდნენ იმ იმედით, რომ, ბოლოს და ბოლოს, გატეხდნენ დამაშავეთა წინააღმდეგობას, ან არადა, ვაზნებს დაახარჯვინებდნენ და იძულებულს გახდიდნენ დანებებულიყვნენ, მაგრამ არა და არა, ბანდიტები არც გატყდნენ, არც ტყვია შემოელიათ. თავის მხრივ ისინი იმედოვნებდნენ, რომ დაფამებამდე გაუძლებდნენ და მერე როგორმე თავს დაადწევდნენ ალყას.

შუადღეზედ განუწყვეტელი სროლის შემდეგ გიორგაძის სახლი, რომლის ზედა სართული ხის მასალით იყო ნაგები, ისე დაიბზარიტა და დაცხვდა, ალაგ-ალაგ კედლის ფიცრები ჩამოინგრა. ხურცილავა, რომელსაც ზეა და სართულში ეკავა პოსტი, მიხვდა, რომ მალე ტყვიისგან თავს ვერ დაიფარავდა, იყვირა, გნებდებითო, და, როგორც კი მოალაყეებმა სროლა შეწყვიტეს, ხელაღებული გამოვიდა საფარიდან და სირბილით გაემართა მანქანისაკენ.

სახლის ქვედა სართულიდან კი, სადაც გედიევი და გიორგაძე იყვნენ, მოალაყეთა წინადადებას, დაგვნებდითო, ისევ და ისევ სროლით უპასუხებდნენ.

გავიდა კიდევ ორი საათი და სახლის პატრონი გიორგაძეც გამოვიდა ხელაღებული, არ მესროლოთო. იგი მთვრალი იყო.

გედიევი კი არ ნებდებოდა და არა! პირიქით, უფრო და უფრო გამძვინვარდა და უფრო და უფრო მოუხშირა სროლას, ნიშნად იმისა, არ დაგნებდებით, პირობაზე მტკიცედ ვდგეგარო.

ბოლოს, როცა მანქანიდან ერთხელ კიდევ რამდენიმე წუთით შეწყვიტეს სროლა და ბანდიტს ერთხელ კიდევ მისცეს წინადადება, დაგვნებდეთო, გედიევმა არ უპასუხა, არც სროლა ისმოდა, არც თავად მისი ხმა.

კვლავ გაუმეორეს წინადადება. პასუხი არ იყო არც იარაღისა, არც კაცისა.

ხომ არ ეშმაკობდა ბანდიტი? იქნებ მოალაყეთა მოტყუება უნდოდა, რომ პირისპირ დაეშინა ტყვია, რაკი შორიდან ვერაფერი დააკლო. ახლა იგი ყოველგვარ რისკს გასწევდა.

მანქანიდან ისევ განაახლეს სროლა, მერე ისევ მიკროფონს მიმართეს — კვლავ დუმილი... მაშინ გადმოვიდნენ მანქანიდან და ფრთხილად შევიდნენ ნახევრად დანგრეულ სახლში. ბევრი ძებნა არ დასჭირვებიათ, გედიევი პირქვედამხობილი იწვა ტყვიებით დაცხრილული ფიცრის კედელთან, მეორე სართულზე, იქ, სადაც მას სრულიად არ ელოდნენ. პირველი მასთან კაპიტანი შალვა ყვარაღელია მივიდა, უნდოდა შეემოწმებინა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

მერე სხვებიც მივიდნენ მკვდართან, გედიევი ახლა პირაღმა იწვა. სახეზე ჯერაც არ შეშრობოდა სიმწრის ოფლი, თუმცა ახლა სახეზე არც სიმწარე ეხატა, არც ტანჯვა.

იმის შემდეგაც, როცა სროლა შეწყდა, ალყა მოხსნეს, პატიმრები წაიყვანეს და მოკლულის გვამი წაიღეს, კიდევ დიდხანს ვერ დაწყნარდა, ვერ დაშოშმინდა სოფელი და მთელი ის არე-მარე, მომხდარ ამბავზე ყველა ოჯახში ლაპარაკობდნენ გვიანობამდე.

ბანდიტების „მასპინძლის“ — გიორგაძეების კარის მეზობლის სახლში ხუთიოდე წლის ბიჭი, მუხლზე რომ უჯდა მამას, როგორაც ყველაზე ნაკლებ იყო დამფრთხალი, მშვიდად, ყურადღებით უსმენდა უფროსებს და დროგამოშვებით მამას გულს უწყალებდა შეკითხვებით: „რატომ მოკლეს, ის კაცი?“... „დედა არ ჰყავდა მკვდარს?“.. „რატომ არავინ იტირა?“

— გიჩუმდი ბიჭო, რა ენად გიკრიფე, შენი საქმე არ არის ეს, წადი, დაიძინე, — დატუქსა მამამ ბიჭუნა.

რაღა თქმა უნდა, ეს ბავშვების საქმე, მათი სადარდელი და საფიქრალი არ არის. ეს ჩვენი, უფროსების, მოწიფული ადამიანების სადარდელი და საფიქრალია: რატომ უნდა ხდებოდეს ასე? ომის გახსენება, მისგან დატვებული ჭრილობები არ გვეყოფა? შშვიდობიანობის დროს რატომ უნდა გახდეს საჭირო, უკიდურეს ღონისძიებას მივმართოთ საზოგადოების დასაცავად?.. ისე, როგორ უნდა გადაგვარდეს კაცი, თანამოძმეთათვის, საზოგადოებისათვის საშიში გახდეს, იმდენად საშიში, რომ იძულებული ვართ სამუდამოდ მოვიკვეთოთ, მოვიშოროთ... ადამიანები ხომ ანგელოზებივით უმანკონი იბადებიან! კაცისმკვლელები, ქურდები და ავაზაკები მერე ხდებიან, ისინი და, რაც ანგელოზად დაბადებული ავაზაკად კვდება, საშინელი მიწას თითო ბელტი აკლდება, ცის გუმბათზე მრისხანედ რეკავს ზარები და ჩვენ გვიბრძანებს: ჰქმენით ისე, რომ ასე არ მოხდეს, ცით ბოძებული ცას უნდა უბრუნდებოდეს!

ᲛᲐ. ᲛᲘᲥᲐᲫᲔ,
Ი. ᲒᲝᲑᲝᲔᲩᲘᲐ.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲡᲠᲘᲒᲨᲘᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფ